619
1976
ეროვნული
ბიბლიოთეკა



# დროშა

აპრილი
№ 4 1976 წ.




ეროვნული ბიბლიოთეკა

17 მარტს საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას გადაეცა სამშობლოს დიდი ჯილდო — სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა.

ეს დიდი ჯილდო რესპუბლიკამ მოიპოვა 1975 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის ვადამდე შესასრულებლად გაჩაღებულ საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში მიღწეული უმაღლესი შედეგებისა და მეცხრე ხუთწლედის წარმატებით დამთავრებისათვის

ს უ რ ა თ ზ ე: ჯილდოს გადაცემა.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# დროშა

№ 4 (472) აპრილი, 1976 წ.

ჟურნალი გამოდის 1923 წლიდან

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

© „დროშა", 1976

მთავარი რედაქტორი
რევაზ მარგიანი

სარედაქციო კოლეგია:

გულნარა გახტაძე,
თენგიზ გოგოლაძე
(პ/მგ. მდივანი),
ოთარ დემეტრაშვილი,
გურამ დოჩანაშვილი,
სერგო დურმიშიძე,
დინარა ნოდია
(მხატვარი-რედაქტორი),
ლადო სულაბერიძე,
ილია ტაბაღუა,
უჩა ჯაფარიძე.

ტექრედაქტორი დავით სეფიაშვილი
კორექტორი ქეთევან წერეთელი



ელექტრონული ბიბლიოთეკა

# უკვდავი სახე კლდეზე

პროლეტარიატის დიდი ბელადის ლენინის უკვდავი სახელი ყოველთვის იზიდავს და აღაფრთოვანებს მწერლებს, მხატვრებს, მოქანდაკეებს, გრაფიკოსებს, ხელოვნების სხვადასხვა დარგის მოღვაწეებს, რიგით მშრომელ ადამიანებს.

მოსკოვის ახლოს, ლენინის სახელობის გლუხოვის ბამბეულის კომბინატის სკვერში ლენინის ძეგლი დგას. იგი მთელს მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე პირველი ძეგლია ბელადისა.

აღნიშნული ძეგლი 1924 წლის 22 იანვარს, ლენინის გარდაცვალების მეორე დღის დილას გახსნეს. ძეგლი უბრალო მუშამ თევდორე კუზნეცოვმა შექმნა.

დედამიწის სხვადასხვა კუთხეში ახლა აღმართულია და სათუთად უფრთხილდებიან დიდი ბელადის უამრავ ძეგლს, ჰქმნიან ახალ ქანდაკებებსა და ორიგინალურ სურათებს.

მათ შორის ერთ-ერთი უნიკალური სურათია კლდეზე...

ჩრდილოეთ კავკასიაში, პიატიგორსკთან, მაშუკის მთის ციცაბო ფერდობზე, დიდი რუსი პოეტის ლერმონტოვის დაღუპვის ადგილთან შორიდანვე მოჩანს კლდეზე საგულდაგულოდ დახატული უკვდავი ლენინის გიგანტური პორტრეტი.

ცოტა ხნის წინათ, რამდენიმე დამსვენებელი ვიყავით ამ ადგილებში. ყველას ერთი და იგივე კითხვები გვაინტერესებდა: როგორ მოხერხდა პორტრეტის შექმნა? როდის მოხდა ეს? ვინ არის ამ სურათის ავტორი? რატომ მაინცდამაინც ამ კლდეზე დახატეს ბელადის სურათი?

ექსკურსიის მძღოლი გვიყვება ჩვენთვის საინტერესო ამბავს.

— 1925 წლის ივლისი იყო. პიატიგორსკში მუშაობა დაიწყო მთიელი და თერგის კაზაკი ქალების პირველმა ყრილობამ.

მთელს ქვეყანას მოედო მაშინ ამ ისტორიული ყრილობის ერთ-ერთი დელეგატის შესანიშნავი სიტყვები:

— ჩვენ იოლი გზა არ გვიძევს წინ, ის ფრიალოა, უფსკრულოვანია; მასზე არაერთი შფოთიანი მდინარის გადალახვა მოგვიწევს, მაგრამ ჩვენ მაინც წინ მივდივართ. ჩვენი სინათლე ლენინის იდეების შუქია. მზის სხივებივით ათბობენ ისინი ყველაფერს...

ყრილობას მრავალი სტუმარი ესწრებოდა: მუშები მოსკოვიდან, მეთევზეები შავი ზღვის სანაპიროებიდან, გლეხები ალტაიდან... სტუმართა შორის იყო სამოქალაქო ომის ლეგენდარული გმირი სიმონ მიხეილის ძე ბუდიონი. მოიწვიეს აგრეთვე მეზობელ სანატორიუმ „პროლეტარში“ დასასვენებლად ჩამოსული მუშები, ინჟინრები, წითელი არმიის მეთაურები. ამ მოწვეულ სტუმართა შორის იყო ახალგაზრდა როსტოველი კომუნისტი ინჟინერი, თვითნასწავლი მხატვარი ნიკოლოზ შჩუკლინი.

ყრილობის მუშაობით აღფრთოვანებულმა მხატვარმა მტკიცედ გადაწყვიტა, მაშუკის მთის ფერდობზე დაეხატა ვლადიმერ ილიას ძე ლენინის პორტრეტი.

ნიკოლოზ შჩუკლინს სწამდა, რომ თავისი გადაწყვეტილების შესრულებით იგი ყველა დელეგატის სურვილსა და გულისთქმას შეასრულებდა.

ამ აზრით შეპყრობილი დაბრუნდა მხატვარი სანატორიუმში და თავისი ჩანაფიქრი დამსვენებელ როსტოველ მუშებს გააცნო. ამხანაგებმა განზრახვა მოუწონეს. ციცაბო კლდეზე მარტოხელა მუშაობა ძნელი იყო და მას დახმარების გაწევა აღუთქვეს. პორტრეტი ექვს დღეში — ყრილობის დამთავრებამდე უნდა დაეხატათ. საჭირო იყო სურათით კლდის ჩვიდმეტ კვადრატულ მეტრზე მეტი გრუნტი დაეფარათ. იმავე დღეს როსტოველი მეგობრები მაშუკის მთის წვერზე ავიდნენ და მხატვარს ხეზე გრძელი თოკის გამობმაში დაეხმარნენ.

თოკზე ჩამოკიდებული ნიკოლოზ შჩუკლინი დღისით მზის შუქზე, ღამით კი ჩირაღდნების შუქზე ხატავდა პორტრეტს. მხატვარი 400 მეტრამდე სიმაღლეზე ჩამოკიდებული მუშაობდა.

რამდენიმე დღის შემდეგ შჩუკლინმა მუშაობა დაამთავრა. ამომავალმა მზემ საამოდ გაანათა ფრიალო კლდე უკვდავი ბელადის გიგანტური პორტრეტითურთ.

თვითნასწავლმა მხატვარმა იმავე დღეს ყრილობის ტრიბუნიდან განაცხადა, რომ ყრილობას საჩუქრად უძღვნის ბელადის პორტრეტს. დარბაზში რამდენიმე წუთს ქუხდა აღტაცებული ოვაცია. ნიკოლოზ შჩუკლინმა ყრილობას გადასცა პორტრეტის ასლი, რომელიც ფირფიტაზე იყო გამოხატული და დასძინა, რომ დედანი დელეგატებს მაშუკის მთაზე შეეძლოთ ენახათ.

დელეგატებმა გადაწყვიტეს, რომ ყრილობის დასკვნითი სხდომა ლენინის პორტრეტთან ჩაეტარებინათ. 1925 წლის 25 ივლისს მაშუკის მთასთან თავი მოიყარეს ყრილობის დელეგატებმა.

„ინტერნაციონალის“ სიმღერის დროს მთის ფერდობიდან ჩამოხსნეს ქსოვილი და მნახველებმა იხილეს ბელადის უკვდავი სახე. პორტრეტის ზემოთ დიდი ასოებით ეწერა: „ლენინი“, „მთიელი და თერგის კაზაკი ქალების პირველი სამხარეო ყრილობა“, წარწერის ქვეშ დახატული იყო წითელი ვარსკვლავი ჩაქუჩითა და ნამგლით. იქვე ეწერა ყრილობის გახსნის თარიღი.

...1942 წლის აგვისტოში პიატიგორსკთან გაიჭრნენ ფაშისტთა ტანკები, რომლებზეც მეავტომატეთა დესანტიც იყო. მტერს გზა გადაუღობა თხუთმეტმა საბჭოთა ჯარისკაცმა. მათ თავდაცვის ხაზი დაიკავეს მთა მაშუკის ფერდობებზე, იმ ადგილის ახლოს, სადაც კლდის წვერთან ლენინის პორტრეტი ბრწყინავდა. წითელი არმიის მებრძოლები სისხლიდან იცლებოდნენ, მაგრამ მრავალი საათის განმავლობაში მაინც გმირულად იბრძოდნენ მოძალებული მტრის შესაჩერებლად. ერთმანეთის მიყოლებით ცვივოდნენ ტყვიით განგმირული ჩვენი მეომრები უფსკრულში.

ფაშისტებმა ხელთ იგდეს პიატიგორსკი.

მათ გადაწყვიტეს, მოესპოთ ლენინის პორტრეტი კლდეზე. სურათი კირით დაფარეს, მაგრამ იმავე ღამეს კოკისპირული წვიმა წამოვიდა და პორტრეტს მთლიანად ჩამორეცხა კირი.

რომელიღაც მამაცი, დღემდე უცნობი საბჭოთა ადამიანი ყოველდღე მიდიოდა პორტრეტთან და ყვავილებით ამკობდა მას.

— ერთხელ, ღამით, — იგონებს ექსკურსიის მძღოლი, — ლენინის კლდეზე, როგორც ამ ადგილს ხალხი უწოდებდა, აალდა ვიღაცის მიერ დანთებული კოცონი. ალის მეწამული ენებით გასხივოსნებულ ილიჩის დიდებულ პორტრეტს კარგად ხედავდნენ ქალაქ პიატიგორსკისა და მახლობელი სოფლების მცხოვრებნი.

ფაშისტებმა ქვემეხების ცეცხლი დაუშინეს მთას.

ჭურვებმა მთას ნატეხები მოამტვრია, მაგრამ სურათის მოსპობა ვერ შესძლო.

...მტერი სტოვებდა ქალაქს. წასვლის წინ ფაშისტებმა გადაწყვიტეს, აეფეთქებინათ კლდე და რამდენიმე მძლავრი ნაღმი ჩადეს კლდის ძირშიც და წვერზეც. საკმარისი იყო ღილაკზე თითის დაჭერა და ვეებერთელა კლდის დიდი ნაწილი ჰაერში აიტყორცნებოდა. ფაშისტებმა გადაწყვიტეს კლდე დილით აეფეთქებინათ. პარტიზანულმა რადიოსადგურმა საბჭოთა სარდლობას დაუყოვნებლივ აცნობა მტრის გადაწყვეტილება. და აი, განთიადამდე ერთი საათით ადრე, მეხის გრიალივით გაისმა ჩვენი ჯარების „ვაშა!“ საბჭოთა არმიის ნაწილები მედგრად შეიჭრნენ პიატიგორსკში.

ასე გადარჩა ბელადის ეს უნიკალური სურათი კლდეზე.

1944 წელს ნიკოლოზ შჩუკლინმა, რომელიც მაშინ მოსკოვში ცხოვრობდა, ასეთი წერილი მიიღო: „შენი ილიჩის პორტრეტი ფაშისტებმა დაამახინჯეს, მათ მისი მოსპობა სურდათ... მაგრამ განა შეიძლება ლენინისადმი რწმენის მოსპობა?! ნიკოლოზ, რაც შეიძლება ჩქარა ჩამოდი! ჩვენ როგორც შევძელით, პორტრეტს სიცოცხლე დავუბრუნეთ, შენ კი მას ძველ ძალას დაუბრუნებ!“

და კვლავ, როგორც მრავალი წლის წინათ, ბილიკით მიდის სანუკვარი კლდისაკენ მხატვარი.

იგი ნელა მივიდა კლდის ძირში და ქუდი მოიხადა.

იმავე საღამოს დაიწყო ნიკოლოზ შჩუკლინმა პორტრეტის აღდგენა. კვლავ ხეზე გამობმულ თოკზე ჩამოკიდებული მუშაობდა იგი თავბრუდამხვევ სიმაღლეზე.

რამდენიმე დღის გულმოდგინე მუშაობის შემდეგ, ახლა უკვე ხანში შესულმა მხატვარმა ბელადის პორტრეტს წინანდელი სიცოცხლე შთაბერა.

...გადის დრო, კლდეზე დახატულ ლენინის პორტრეტთან უწყვეტ ნაკადად მიედინება ხალხი.

მრავალი წლის მანძილზე მათ ციცაბო მთაზე მყარი, მოუშლელი ბილიკი გაკვალეს. ამ ბილიკზე არ წყდება მშრომელთა სვლა.

ასეც ამბობენ აქ ჩამოსულები: „წავიდეთ ბელადთან!“

ყველას სურს უკვდავი ადამიანის, ხალხთა ძმობისა და ნათელი ცხოვრების შემქმნელი ბრძენი ბელადის უნიკალური სურათის ხილვა.

**ფილიპე მახარაძე,**
ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალის დირექტორი.

# XXV ყრილობის დელეგატი მოგვითხრობს

ეროვნული ბიბლიოთეკა

— თებერვალში, როცა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობაში მონაწილეობის მისაღებად მოსკოვში მივემგზავრებოდი, ჟურნალ „დროშის" მკითხველებს გავუზიარე ჩემი სიხარული, წინასაყრილობო ფიქრები, სურვილები და მისწრაფებები.

დაწყებულ საქმეს, როგორც იტყვიან, ბოლომდე უნდა მიდევნება. ახლა, როცა ჩვენი პარტიის XXV ყრილობაზე მიღებული წარუშლელი შთაბეჭდილების ქვეშ ვიმყოფები, როცა ისტორიული ყრილობის დიადი მიზანდასახულობანი ახალი შრომითი გამარჯვებებისაკენ გვიხმობს, ერთხელ კიდევ მინდა ვისარგებლო შემთხვევით და ჟურნალ „დროშის" მკითხველებს მოსკოვში მიღებული შთაბეჭდილებები გავუზიარო, ჩემი ბრიგადის მომავალი გეგმების შესახებ მოვუთხრო მათ.

ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი მოსკოვი ზეიმით შეგვეგება ყრილობის დელეგატებს. ყველგან და ყველაფერში იგრძნობოდა განსაკუთრებული აღმაფრენა, ამაღელვებელი მოლოდინი, საქმიანი განწყობა.

არასოდეს დამავიწყდება 1976 წლის 24 თებერვლის დილა. კრემლის ყრილობათა სასახლე დელეგატებითა და მსოფლიოს მრავალი ქვეყნიდან ჩამოსული სტუმრებით არის სავსე.

ნათელ ფოიეებში ჯგუფ-ჯგუფად დგანან სხვადასხვა ეროვნების დელეგატები. საუბრობენ, ერთმანეთს ეცნობიან, საინტერესო შეკითხვებს აძლევენ ყრილობაზე ჩამოსულ სტუმრებს.

მეგობრებთან ერთად ყურადღებით ვათვალიერებ კრემლის ყრილობათა სასახლის დიდებულ ნაგებობას.

საყოველთაოდ ცნობილია ის აღტაცება, რომელსაც სასახლის შენობა იწვევს თავისი გრანდიოზულობითა და ფორმების დახვეწილი სრულყოფით. მინისაგან, ლითონისა და სხვადასხვა მარმარილოსაგან ნაგები ყრილობის სასახლე, მართლაც რომ დიდსა და წარუშლელ შთაბეჭდილებას სტოვებს მნახველთა წინაშე.



დიდი ყურადღებით მოვისმინეთ აგრეთვე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგ ა. ნ. კოსიგინის მოხსენება „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1976-1980 წლების ძირითადი მიმართულებანი".

# მიზანი ნათელია

მოსკოველი მეგობრებისაგან შევიტყვეთ, რომ ახლახან დამთავრდა კრემლის ყრილობათა სასახლის შეკეთება. ვრცელ დარბაზში დაიდგა უფრო მეტად სრულყოფილი მოწყობილობანი, საჭირო რაოდენობით გაძლიერდა კონდიცირებული ჰაერის სისტემა. დარბაზში ახლა დგას 6 ათასამდე რბილი და მოხერხებული სავარძელი. თითოეულ სავარძელში ჩამონტაჟებულია სპეციალური მოწყობილობა, რომლის მეოხებით ყოველი ორატორის სიტყვა სინქრონულად შეიძლება ითარგმნოს 29 ენაზე.

სცენაზე 100-მდე მიკროფონია, სავარძლების საზურგეებსა და დარბაზის კედლებში 7 ათასი დინამიკაა ჩამონტაჟებული. ყოველივე ეს კი საშუალებას იძლევა, რომ უზარმაზარი დარბაზის ყველა წერტილში ერთნაირად გაისმას ორატორის ხმა...

საათის ისარი თანდათან უახლოვდება ათს.

კიდევ რამდენიმე წუთი და მთელს დარბაზს მხურვალე ტაშის გრიალი აყრუებს. ფეხზე წამომდგარი დელეგატები ერთსულოვნად ვესალმებით ჩვენი პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელ ამხანაგებს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევი მქუხარე ტაშის გრიალში ხსნის ყრილობას.

მუშაობას იწყებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ისტორიული ყრილობა.

საბჭოთა ხალხის, ჩვენი პლანეტის ყველა კონტინენტის ხალხთა მთელი ყურადღება რამდენიმე დღის მანძილზე მიპყრობილი იყო მოსკოვისაკენ, სადაც კომუნისტთა დიადი ფორუმი მიმდინარეობდა. სკკპ XXV ყრილობა ჭეშმარიტად გადაიქცა მსოფლიო მნიშვნელობის მოვლენად. მთელი პროგრესული კაცობრიობა სიხარულის გრძნობით, მშვიდობისა და მეგობრობის შემდგომი განმტკიცების ნათელი იმედით ადევნებდა თვალს მის მუშაობას.

დაძაბული ყურადღებით მოვისმინეთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის მოხსენება „სკკპ ცენტრალური კომიტეტის ანგარიში და პარტიის მორიგი ამოცანები საშინაო და საგარეო პოლიტიკის დარგში", რომელმაც ყოველმხრივ დასაბუთებულად დასახა ჩვენი ქვეყნის შემდგომი პროგრესის გზები, წამოაყენა მშვიდობისა და საერთაშორისო თანამშრომლობისათვის, ხალხთა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის შემდგომი ბრძოლის პროგრამა.

ჩვენი პარტიის გენერალური მდივნის ღრმად შთამაგონებელმა მოხსენებამ წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა მსმენელებზე. ნათლად მიდგება თვალწინ ის საერთო აღტაცება, ნათლად ჩამესმის ყურში ის გულითადი ტაშის გრიალი, რომლითაც მოხსენების დამთავრებისთანავე მთელი დარბაზი შეეგება ლეონიდ ილიას-ძეს.

შესვენების დროს ფოიეებში ისევ ჯგუფ-ჯგუფად ვიდექით დელეგატები, გულდასმით ვაანალიზებდით ყველაფერს, მომავლის ამ ნათელ, საპროგრამო მოხსენებაზე ვმსჯელობდით.

თითოეული დელეგატის, ყრილობაზე ჩამოსული ყოველი სტუმრის სიტყვას ახალი და საინტერესო შეჰქონდა ჩვენს მუშაობაში, უფრო ღრმას, მრავალფეროვანსა და შთამაგონებელს ხდიდა მას.

ყრილობის გადაწყვეტილებანი ახლა ჩვენი თვალუწვდენელი სამშობლოს ყველა მშრომელის ყურადღების ცენტრშია. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობის დამთავრების შემდეგ, როცა მოსკოვიდან თბილისში მოვემგზავრებოდი, თან მომყვებოდა ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის სიტყვები: „წინ მოგველის დიდი და რთული მუშაობა, მაგრამ ეჭვი არ არის, რომ ჩვენი პარტია, ჩვენი ხალხი პირნათლად გაართმევენ მას თავს და ახალ შესანიშნავ ფურცელს ჩაწერენ მსოფლიოში პირველი კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის მატიანეში".

ქარხანაში მისვლისთანავე ჩემი ბრიგადის წევრები სიხარულით შემომეხვივნენ გარშემო. ყველას აინტერესებდა ყრილობაზე მიღებული შთაბეჭდილებები. ბიჭები დეტალურად მეკითხებოდნენ ყველაფერს. ყოველი წვრილმანიც კი ამომწურავად უნდოდათ გაეგოთ.

მეგობრებთან საუბარმა დამარწმუნა, რომ თითოეული მათგანი მზად იყო ენერგიის დაუზოგავად ებრძოლა ჩვენი პარტიის XXV ყრილობაზე მიღებული დიდმნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების ღირსეულად შესრულებისათვის.

ჩვენმა ბრიგადამ, როგორც იცით, შარშან, დიდ სამამულო ომში გამარჯვების 30 წლისთავის წინ, მიიღო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის მისასალმებელი წერილი. ამ გულითადი წერილით აღფრთოვანებულებმა შევიმუშავეთ კომპლექსური გეგმა მეათე ხუთწლედისათვის. ჩვენი დევიზი ასეთია: „ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესება თითოეულ სამუშაო ადგილზე — ხუთწლედის სამსახურში!"

ამ წამოწყებამ მალე შეისხა ფრთები, მას მხარი დაუჭირა ჩვენი რესპუბლიკის თითქმის ყველა სამრეწველო საწარმომ.

ყრილობიდან დაბრუნების შემდეგ ბრიგადის წევრებმა ერთხელ კიდევ გულდასმით ავწონ-დავწონეთ ყველაფერი, ვიმსჯელეთ, ვიკამათეთ და მტკიცედ გადავწყვიტეთ, რომ მეათე ხუთწლედის დავალება დროზე ადრე და რაც შეიძლება მაღალხარისხოვნად შევასრულოთ.

მეათე ხუთწლედი ხარისხისა და ეფექტიანობის ხუთწლედია. ჩვენს წინაშე დასახულ ამოცანებს შევასრულებთ დამკვრელური შრომით, ყველა რეზერვის გულმოდგინე გამოვლინებით, სამუშაო დროის რაციონალურად გამოყენებით, ტექნიკური აღჭურვილობის გადიდება-გაუმჯობესებით. ამ კეთილშობილური საქმისათვის შთაგვაგონებს კომუნისტური პარტიისადმი უსაზღვრო ერთგულება, სამშობლოსადმი უანგარო სიყვარულის გრძნობა.

**გიორგი კურტანიძე,**
თბილისის ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხნის მეკოპეთა ბრიგადის ხელმძღვანელი, სოციალისტური შრომის გმირი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, სკკპ XXV ყრილობის დელეგატი.

საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა



საქართველოს სსრ დამსახურებული მშენებელი გალაქტიონ ქურციკიძე (ცენტრში) ჭიათურის მომავალს აცნობს ცნობილ მაღაროელს გიგა ბაქრაძეს (მარჯვნივ) და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატს, გვირაბგამყვან ვიტალი გელაშვილს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობის მუშაობაში ჭიათურის კომუნისტთა სახელოვანი რაზმის ორი წარმომადგენელი მონაწილეობდა. ეს ბედნიერება წილად ხვდათ საქართველოს კომპარტიის ჭიათურის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივანს ნოდარ ვაშაძესა და ნოვატორ მაღაროელს გიგა ბაქრაძეს, რომელმაც დროს გაუსწრო, მეცხრე ხუთწლედში შეასრულა მეათე ხუთწლედის გეგმა და ამჟამად მეთერთმეტე ხუთწლედის ანგარიშში შრომობს.

ის-ის იყო დამთავრდა ყრილობა, დელეგატები დაბრუნდნენ თავიანთ ადგილებზე, რომ ჟურნალ „დროშის" კორესპონდენტი **დავით ბიწაძე** შეხვდა საქართველოს კომპარტიის ჭიათურის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივანს **ნოდარ ვაშაძეს** და ესაუბრა მას. ვაქვეყნებთ ყრილობის დელეგატის ნაამბობს.



ნოდარ ვაშაძე.

# ჭიათურა დღეს და ხვალ

— ფიქრებით ისევ კრემლის ყრილობათა სასახლეში ვარ. ძნელია სიტყვით აღწეროთ ის ამაღლებული და საქმიანი ატმოსფერო, რომელიც ყრილობაზე სუფევდა.

ყრილობის მასალები, ამხანაგ ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის ნათელი, ღრმაშინაარსიანი მოხსენება ახალი შრომითი აღმავლობისათვის აღგვაფრთოვანებს, მეტ ძალას და მხნეობას გვმატებს.

მოსკოვში ყოფნის დროს, სიმართლე გითხრათ, ბევრს ვფიქრობდი ჩემს მშობლიურ ჭიათურაზე, მის სახელოვან მშრომელ ადამიანებზე, მის გმირულ წარსულსა, ნათელ აწმყოსა და კიდევ უფრო ბედნიერ მომავალზე.

ჭიათურელი მშრომელები მალე აღნიშნავენ მანგანუმის მადნის სამრეწველო დამუშავების დაწყების საუკუნოვან იუბილეს. ამ საქმის პიონერი და მოთავე, როგორც ცნობილია, ჩვენი სახიქადულო მგოსანი აკაკი წერეთელი იყო. ქართული მანგანუმის პირველი პარტია უცხოეთში სწორედ მისი სახელით გაიგზავნა დასამუშავებლად.

ჩვენმა მანგანუმმა თავის საუკეთესო ხარისხით მსოფლიო აღიარება ჰპოვა. უხვი მარაგითაც არ მოეძებნება მას ბადალი. ჭიათურის მადანი და მისგან დამზადებული ფეროშენადნობები ახლა საზღვარგარეთის ბევრ ქვეყანაში იგზავნება.

მანგანუმის სამთამადნო კომბინატის კოლექტივი, რომლის დროშაზე კიაფობს ლენინის ორდენი, სისტემატურად ზრდის მადნის მოპოვებას. საკმარისია ითქვას, რომ ახლა აქ ყოველდღიურად იღებენ და ამუშავებენ იმაზე მეტ „შავ ოქროს", რამდენსაც რევოლუციამდე ერთი წლის მანძილზე იღებდნენ.

მეცხრე ხუთწლედში ჭიათურელმა მაღაროელებმა გეგმის ზევით ამოიღეს 12 მილიონამდე მანეთის სასაქონლო მადანი. ეს წარმატებები მოპოვებულია იმის შედეგადაც, რომ ვადაზე ადრე ჩადგა მწყობრში მაღაროთა მიწისქვეშა უბნები და კარიერები, რომელთა მწარმოებლობაა წელიწადში 600 ათასი ტონა მანგანუმი.

სამთამადნო კომბინატის კოლექტივმა მჭიდრო კავშირი დაამყარა ჩვენი ქვეყნის ოცამდე სამეცნიერო-საკვლევ და საპროექტო ინსტიტუტთან. კრივოიროგის სამთო მანქანების ინსტიტუტთან თანამშრომლობით ჭიათურელმა სპეციალისტებმა შექმნეს ეგრეთ წოდებული ბუნკერ-მატარებელი, რომელმაც სამჯერ გაზარდა ელექტრომტვირთავი მანქანების მწარმოებლობა.

გამამდიდრებელ ფაბრიკებში ტექნოლოგიური პროცესები მთლიანად ავტომატიზებულია; ცენტრალურ გამამდიდრებელ ფაბრიკაში ურთულეს შრომით პროცესებს ტელემექანიზმებით არეგულირებენ.

მანგანუმის მრეწველობაში პირველად ქართველმა მაღაროელებმა დანერგეს კარბონატული მადნების მძიმე სუსპენზიებში გამდიდრების მეთოდი, რამაც მკვეთრად აამაღლა მადნის ხარისხი. ახალი ითხვისისა და ლენინის სახელობის მაღაროებში მადნის მოპოვება აწარმოებს კომპლექსური მექანიზაციის საშუალებით.

ქართველი სპეციალისტებისა და ნოვატორების მიერ შექმნილი და დამუშავებული მოწინავე მეთოდები და ტექნოლოგია დაინერგა მოძმე უკრაინის ნიკოპოლის მანგანუმის მრეწველობაში, უცხოეთის მრავალ ქვეყანაში.

შარშან ჭიათურის მანგანუმის სამთამადნო კომბინატში შეიქმნა გამოთვლითი ცენტრი, დამონტაჟდა რთული ელექტროგამომთვლელი მანქანები.

ჭიათურელი მშრომელები სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებებმა უსაზღვროდ აღაფრთოვანა. ისინი ახალი ენერგიით დაირაზმნენ მეათე ხუთწლიანი გეგმის წარმატებით განხორციელებისათვის.

ჩვენს თვალწინ ნათლად არის გამოკვეთილი ქალაქის სახალხო მეურნეობისა და კულტურის განვითარების მეათე ხუთწლედის დიადი ჰორიზონტები.

მაღაროელთა მთავარ საბრძოლო ამოცანად კვლავ რჩება მანგანუმის მადნის ამოღების გადიდება. ამ საქმეში გადამწყვეტ როლს შეასრულებს ახალ სიმძლავრეთა ათვისება. მეათე ხუთწლედში ჩვენთვის გამოყოფილია 66 მილიონი მანეთის კაპიტალური დაბანდება; მწყობრში ჩადგება ახალი მიწისქვეშა მაღაროები და უბნები, რომლებიც საშუალოს დამატებით მისცემენ 1.280 ათას ტონა მანგანუმს.

ხუთწლედში კომბინატის მოქმედ საწარმოებში რეკონსტრუქციის სამუშაოებზე დაიხარჯება დაახლოებით 17 მილიონი მანეთი. 1977 წლისათვის დამთავრდება კარბონატული მადნების გამამდიდრებელი ფაბრიკის რეკონსტრუქცია. ფაბრიკაში ყოველწლიურად 280 ათასი ტონით გაიზრდება ძვირფასი კონცენტრაციის წარმოება. მალე დამთავრდება გამდიდრების შედეგად წარმოქმნილი ნარჩენებისა და ლამის დასაჭერი ნაგებობის მშენებლობა, რომელზეც 12 მილიონი მანეთი დაიხარჯება. ეს ახალი ნაგებობა მრეწველობას მისცემს ასეულ ათასობით ტონა ძვირფას მანგანუმს, რომელიც აქამდე წყალში გადაყრილი სიმდიდრე იყო.

მეათე ხუთწლედში მწყობრში ჩადგება ელექტროტექნიკურ ხელსაწყოთა ქარხანა. მის საამქროებში იმუშავებს სამი ათასამდე კაცი. ქარხანაში ყოველწლიურად გამოუშვებენ 10 მილიონი მანეთის პროდუქციას.

ფართოვდება საქვეყნოდ განთქმული ხალიჩის მარმარილოს წარმოება.

ჭიათურის რაიონის სოფლის მეურნეობის მშრომელებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი, ხუთწლედში დაახლოებით ერთ-ნახევარჯერ გაზარდონ მარცვლეულის, ჩაის ფოთლის, ყურძნის, ხილის, მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება. საამისოდ შეიქმნა მანდაეთის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობა, სარძეო, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის, ღორის გასასუქებელი კომპლექსები. მიმდინარეობს ახალი ბაღ-ვენახების, ჩაის პლანტაციების გაშენება.

ახალ ხუთწლედში ჭიათურელი მშრომელები მიიღებენ 60 ათას კვადრატულ მეტრ საცხოვრებელ ფართობს. ახალმოსახლეობას იზეიმებს ორი ათასზე მეტი ოჯახი. იზრდება ქალაქის ახალი უბნები — ნაგუთი, სტალინის ქუჩის დასახლება, შენდება წინსოფლის ახალი საცხოვრებელი მასივი.

მეათე ხუთწლედში ახალ სასკოლო შენობებში ოთხი ათასი მოსწავლე მიუჯდება მერხებს. შენდება 240 საწოლიანი საავადმყოფოს კომპლექსი, მაღაროელთა პროფილაქტორია-სანატორიუმი, სადაც 300 კაცი გაიკაჟებს ჯანმრთელობას. ზღვისპირა კურორტ ურეკის წალკოტში აშენდება ჯანმრთელობის სახლი, სადაც ზაფხულობით პიონერთა ბანაკი მოთავსდება; აქ მაღაროელებიც დაისვენებენ.

ჭიათურის სახელმწიფო დრამატული თეატრის, მაღაროელთა კულტურის სასახლისა და პიონერთა სასახლის შესანიშნავ არქიტექტურულ შენობებს მალე მხარს დაუმშვენებს მხარეთმცოდნეობის მუზეუმის, მუსიკალური სასწავლებლის შენობები. ჭიათურელებს ექნებათ ახალი ადმინისტრაციული და კავშირგაბმულობის სახლები; ფართოვდება წყალსადენისა და კანალიზაციის ქსელი. შენდება ახალი სკვერები, ბაღები, გაჰყავთ გზები, ტროტუარიანი ფართო ქუჩები...

ჭიათურაში უმთავრესად შენდება რვა, ცხრა და თოთხმეტსართულიანი საცხოვრებელი სახლები. ისინი თითქოს საუკუნეობით მდუმარე და ხავსმოკიდებულ კლდეებს ეჯიბრებიან სიმაღლეში. მწვანე ნარგავებმა მოხატეს და მოალამაზეს შავი ფერდობები და ბორცვები. რკინა-ბეტონის კალაპოტში ემწყვდევა მთის შმაგი მდინარე ყვირილა. მალე მდინარის კალაპოტში ამაღლდება წყლის დონე და ყვირილაში კატერები ასრიალდებიან.

ქართველ მაღაროელთა ქალაქში უფრო ძლიერად იჩქეფებს სპორტული ცხოვრება. აშენდება სპორტის სასახლე 2500 ადგილით. ცენტრალურ სტადიონზე მოეწყობა 140 მეტრიანი დახურული მანეჟი — სამი სარბენი ბილიკით. ნაგუთის მასივში შენდება სტადიონი, რომელიც გადაეცემა მაღაროელთა ბავშვებს და ხელს შეუწყობს ახალგაზრდა ფეხბურთელთა მომზადებას. ახალი სტადიონები ექნებათ აგრეთვე ლენინის სახელობის მაღაროთსამმართველოს ახალგაზრდებს.

ჭიათურა უნიკალური ქალაქია. მისი სატრანსპორტო არტერიები ძირითადად თავმოყრილია... ჰაერში. ამ მხრივ, მას ბადალი არ ჰყავს. აქ მოქმედებს 34 საჰაერო-საბაგირო გზა, რომლებსაც გადააქვთ დიდძალი სახალხო-სამეურნეო ტვირთი, გადაჰყავთ მგზავრები. ახლო ხანში მათ შეემატება ახალი გზები. ეს გზები უმოკლესი მანძილით დააკავშირებს ლენინის ქუჩას — საავადმყოფოსთან, პოლიტექნიკური ინსტიტუტის ფილიალს — ნაგუთის დასახლებასთან, სოფლებს ზოდსა და ზედუბანს...

ქალაქის სამგზავრო ტრანსპორტს სისტემატურად ემატება ახალი ავტობუსები, ტროლეიბუსები, ტაქსები...

ჭიათურა ამაყობს თავისი სახელოვანი მუშათა კლასით, კოლმეურნე გლეხობით, საუკეთესო ინტელიგენციით. ახლა ყველა იცნობს ჭიათურელ მაღაროელებს: სოციალისტური შრომის გმირებს პეტრე გოგატიშვილს და გრიგოლ ტყემალაძეს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატს იუზა ბარბაქაძეს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატს ვიტალი გელაშვილს, სკკპ XXV ყრილობის დელეგატს გიგა ბაქრაძეს, ტრესტ „ჭიათურმშენის" სამშენებლო სამმართველოს კომპლექსური ბრიგადის ხელმძღვანელს, სოციალისტური შრომის გმირს გრიგოლ ჭოხონელიძეს; საქვეყნოდ გაითქვეს სახელი ეწრელმა მეჩაიემ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა მარგარიტა სარალიძემ, ქვაციხელმა მევენახემ დავით ცხოვრებაძემ...

ამას წინათ გვირაბგამყვანთა ბრიგადის წევრები ძმები შალვა და რეზო ბუზალაძეები გამოვიდნენ პატრიოტული თაოსნობით „პირადი ხუთწლიანი გეგმა ოთხ წელიწადში შევასრულოთ!" მათ თაოსნობას მაღაროელთა ქალაქის უმრავლესობამ დაუჭირა მხარი. სოციალისტური შეჯიბრება მთელი ძალით გაჩაღდა.

ამჟამად ახალი პოზიციებიდან — ყრილობის გადაწყვეტილებათა სიმაღლეებიდან ვაფასებთ იმას, რაც გაკეთებულია, რაც უნდა შევასრულოთ ახლო მომავალში. ახლა უფრო ნათლად ვხედავთ ჩვენს ხვალინდელ დღეს; ეს მოგვიწოდებს კვლავაც ვიყოთ ჩვენი პარტიის აქტიური მებრძოლები, კომუნიზმის ერთგული მშენებლები, ყველაფერი ვიღონოთ, რათა დროულად და პირნათლად შევასრულოთ ჩვენს წინაშე დასახული ამოცანები.








- საბაგირო გზა.
- ჭიათურის ერთ-ერთი უბანი.
- ჭიათურის მანგანუმი.
- მაღაროში შესასვლელი ძველად.
- „გედების ტბა".

ავთანდილ მაჭავარიანის ფოტო

ივანე ჯავახიშვილის დაბადების 100 წლისთავისათვის

სიმონ ყაუხჩიშვილი

# ივანე რომ არ მყოლოდა...

მაგონდება ი. გრიშაშვილის სიტყვა, რომელიც მან ვალერიან გუნიას დაბადების 50 წლისთავზე წარმოთქვა. ი. გრიშაშვილმა თავისი სიტყვა ასე დაიწყო: „ვალიკო რომ არ მყოლოდა ვიქნებოდი ყაჩაღ-თული“. ამ სიტყვებში პოეტმა გამოხატა ვალ. გუნიას ის დიდი ზრუნვა მისდამი, რომელმაც პოეტის მომავალი კეთილად წარმართა.

...ეს ამბები იმის ნათელსაყოფად გამახსენდა, რომ მიუხედავად იმისა, არ მაკლდა მუშაობის უნარი, სიბეჯითე, ივანე ჯავახიშვილს რომ იმთავითვე არ ავეყვანე „აღრიცხვაზე“, ვინ იცის, როგორ წარიმართებოდა ჩემი ცხოვრება.

ივ. ჯავახიშვილმა რევოლუციის პირველ თვეებშივე გაგვაფრთხილა მის მიერ „აღრიცხვაზე“ აყვანილები: „არსად წახვიდეთ (მე სტავროპოლის გიმნაზიაში ვიყავი დანიშნული მასწავლებლად), როგორმე აქვე მოეწყვეთ და შემდეგში ყველაფერი მოგვარდებაო“...

ასეც მოხდა. სულ მალე ანასტასია თუმანიშვილის მიერ დაარსებულ ქალთა სამასწავლებლო სემინარიაში დამნიშნეს საქართველოს ისტორიის მასწავლებლად; ამავე დროს „სახალხო გაზეთის“ რედაქციაში მიმიწვიეს დეპეშების მთარგმნელად, ახლად დაარსებულ უნივერსიტეტში ასპირანტად ჩამრიცხეს; ივ. ჯავახიშვილის წარდგენით მომენდო გამოსაცემად „გიორგი ამარტელის ქრონოგრაფიის“ მომზადება. 1918-1920 წლებში მოვამზადე და დავბეჭდე კიდეც „ქრონოგრაფია“; შემდეგ დაისვა საკითხი ჩემი მივლინების შესახებ უცხოეთში სამეცნიერო მუშაობის გასაგრძელებლად.

1920-1923 წლებში საზღვარგარეთ ვიმყოფებოდი; ორი წელიწადი ბერლინის უნივერსიტეტში ვიმეცადინე. ბერლინის უნივერსიტეტში ორმხრივ წარიმართა ჩემი მუშაობა: 1) კლასიკური ფილოლოგიის დარგში გავიარე რამდენიმე სპეციალური სემინარი (ვილოვიცი, ედ. მაიერი, ნორდენი); 2) საგანგებოდ ვმეცადინეობდი ბიზანტინოლოგიაში პროფ. პ. მაასთან, რომლის ერთადერთი მსმენელი ვიყავი. არსებითად რომ ვთქვათ, ბიზანტინოლოგიას მე პ. მაასთან დავეუფლე; იგი დიდი გულმოდგინებით მამუშავებდა და მწვრთნიდა. გერმანიაში ამ დროს გერმანული მარკა ეცემოდა (200-500 პროცენტით), ხოლო წიგნების ფასი მხოლოდ 20 პროცენტით იყო აწეული. მე მხოლოდ ვალუტა მქონდა და ამან შემაძლებინა დიდძალი ლიტერატურა შემეძინა ჩემთვის ხელსაყრელ ფასებში. ასე რომ, საზღვარგარეთ მივლინება რომ დავამთავრე, ჩემს განკარგულებაში აღმოჩნდა ექვსი ყუთი წიგნი. ეს ყუთები თბილისში გამოვგზავნე.

ჩემი წიგნები ბათუმში რომ ჩამოვიდა, საბაჟოს მოხელეები დატრიალდნენ. წიგნები რომ დაებეგრათ (ეგონათ, რომ წიგნები კომერციული მიზნით მქონდა ჩამოტანილი), საჭირო გახდა საგანგებო შუამდგომლობა, რომ ყადაღა მოეხსნათ. ეს მოწმობა დღემდე შემონახული მაქვს. ვაქვეყნებთ მის პირს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ტფილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი
30 II 1923 წ. № 242

მოწმობა

ამით ვამოწმებთ, რომ ამის წარმომდგენი სიმონ ყაუხჩიშვილი სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ გაგზავნილი იყო დასავლეთ ევროპაში საპროფესოროდ მოსამზადებლად. ამ ჟამად იგი ბრუნდება საქართველოში და თან მოაქვს მრავალი სამეცნიერო წიგნები და რვეულები სხვადასხვა შენიშვნებით და ამიტომ ვთხოვთ ყველა სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებებს, ვისაც იგი მიმართავს, აღმოუჩინოს ყოველგვარი დახმარება და მისცეს მას საშუალება თავის წიგნები და ნაშრომები უვნებლად ჩამოიტანონ ქალაქ ტფილისში.

პროფესორი ივ. ჯავახიშვილი“.

ივ. ჯავახიშვილი დიდ მზრუნველობას იჩენდა ჩემზე არა მარტო იდეურად, არამედ მატერიალურადაც; ითვალისწინებდა ჩემს ყოველგვარ საჭიროებას და თვითონ იჩენდა ინიციატივას, რომ ჩემი საზღვარგარეთ გასამგზავრებლად საჭირო ვალუტაც მისი შემწეობით მიმეღო სახელმწიფო ბანკიდან (იქ ძველი მოხელეები ისხდნენ და ვალუტას ხელიდან არ უშვებდნენ).

1923 წელს დავბრუნდი საზღვარგარეთის მივლინებიდან. ჩემი ჩამოსვლისთანავე ბატ. ივანემ ყოველი ღონე იხმარა, რომ თავის დროზე ჩამებარებინა სადოქტორო გამოცდები; ჩემი სადოქტორო შრომაც სასწრაფოდ დააბეჭდვინა და 1927 წლის დასაწყისში შესდგა პაექრობა, რის შედეგადაც მომენიჭა ბიზანტონოლოგიის დარგში დოქტორის ხარისხი.

ივანე ჯავახიშვილს ამის შემდეგაც ყოველთვის ვყავდი აყვანილი „აღრიცხვაზე“ და არაერთხელ გამხდარა საჭირო მისი ჩარევა ჩემი. ზოგჯერ გართულებული. საქმეების მოსაგვარებლად. ყოველთვის სიმართლე იმარჯვებდა და მეც ხარბად ვეწაფებოდი ამ გამარჯვებებს, რათა არ შემერცხვინა ჩემი მზრუნველის სახელი და მესარგებლა ამ გამარჯვებებით იმ საქმის დასაგვირგვინებლად, რომლის შესრულება ჩვენი სოციალისტური სამშობლოს საკეთილდღეოდ ასე წარმატებით მასწავლა დიდმა ივანემ.

ლექსი

ხუტა ბერულავა.

## მესამე წერილი ზუგდიდში

გმირულ შრომაში, ძმებთან ძმობაში,
მაღლდება ჩემი მშობელი კერა,
და როგორც მაშინ, ჩემს ბავშვობაში,
სინწას მდინარეს უწოდებს ჯერაც.

მდინარეს-მეთქი, ღელეს კი არა,
ორიოდ წისქვილს ძლივს რომ აბრუნებს.
ო, სინწა, სინწა! ვწერ სევდიანად
და მოგონება სიყრმის მაბრუებს.

ხშირი ტყეებით შემორაგვული
მოჩუხჩუხებდა შორიდან წყალი.
იქ არ მიხილავს მე ორაგული,
არც კალმახისთვის მომიკრავს თვალი.

მაინც სხვა იყო სინწა იმ დროის,
ვით ჩხოუშია სხვა იყო მაშინ:
ორივეს ეკრა მწვანე მინდორი
და თევზებივით ვცურავდით წყალში!

თანდათანობით, როდესაც ქალაქს
შემოაცალეს წმინდად ტყეები,
მიყუჩდა ხმა და შემცირდა ძალა
ჩვენი პატარა მდინარეების.

არ მინდა გული ვატკინო ვისმე, —
აჩეხილ ხეთა მწადს გაცოცხლება,
რომ ტყის შრიალი გაისმას ისევ
ხვალის მგოსნების გასაოცებლად.

დაე, ენგურმაც და მაგანამაც
ცოტაოდენი გაიღონ ღალა, —
არ დაიშურონ ტალღა კამკამა
და შეაშველონ საყვარელ ქალაქს.

მდინარეების ამაღლდეს დონე,
სიცოცხლის ნამი ასხურონ ველებს,
სინწას ძარღვებში ჩაუდგეს ღონე
და ჩხოუშიაც არ ჰგავდეს ღელეს.

ტბა გამჭვირვალე გაცოცხლდეს ბაღში,
ძველ ხეივანში იფეთქოს რუმაც...
ასე ლამაზად და მხრების გაშლით
დახვდეს ქალაქი ნაცნობს და სტუმარს.

იქნებ ეგ სიტყვა ჰგავს ფანტაზიას!
ეგ ფანტაზია, ბოლოს და ბოლოს,
სახლიკაცებო, თქვენი აზრია,
რაიც მე ლექსად გარდავთქვი მხოლოდ.

თქვენი აზრია... იჩქარეთ ბარემ,
არ დააყოვნოთ საქმე კეთილი,
რომ არ იხილოს მშობელმა მხარემ
მდინარეც ჩვენზე გულდაწყვეტილი.

წყალსაც სჭირდება, ყველამ იცოდეს,
სითბო, ალერსი, მზრუნველი ხელი.
ამ ტკბილ ოცნებას ვინც გამიცოცხლებს,
მას ჩვენი ხალხის მადლობა ელის.

დიდებაც ელის, ლამაზი ლექსიც —
ჩონგურის ლარებს ხმაშეწყობილი.
...და მელანდება ვარაზისხევში
დიდი სინწა და მისი დობილი.

## რაიონული გაზეთების ვეტერანები

ო, მათზე მე ვფიქრობ რახანაა,
მე მათმა ალერსმაც გამზარდა...
ჩემი ალექსანდრე გვახარია
და ჩემი პროკოფი გვაზავა,

ძველი მეგობრობის მფეთქავ ხიდზე
მხედრულ ნაბიჯებით მიდიან,
როგორც ხევერიან ებრალიძე —
კოლხეთის კეთილი მინდია.

გულში იმედივით კვლავ ანთია
იმ დღეთა ათასი ვარსკვლავი,
როდესაც დავით კალანდია
თბილისში მიღიმის ძმასავით.

ჩვენს შორის ბევრი აღარ არი,
ო, ბევრი კი არა, უთვლელი, —
გრიგოლ კვირტიასებრ აზრმაღალი,
გიორგი ფიფიასებრ გულწრფელი!

როგორც იროდიონ ეხვაია —
სიცოცხლის მეხოტბედ შობილი.
გარჯას მილოცავდა ხელხვავიანს
რამდენი უფროსი ძმობილი!

...ძველი ოცნებებით ავენთები, —
ყმაწვილი პოეტი ვარ ისევე
და ჩემი პატარა გაზეთების
გულდიდ მესვეურებს ვიხსენებ.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ივანე ჯავახიშვილი. მხატვარი კორნელი სანაძე.



შრომის ოფლი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალექსანდრე საკოვის ფოტო



„დაბადება".

# ქალაქი ფეიქარი

ქუთაისის მაუდის ფაბრიკის ეზოში ჯერ ფეხი არ შეგვედგა, ჭიშკართან გაკრული წარწერით რომ შევიტყვეთ, ეს მძლავრი საფეიქრო საწარმო ვ. ი. ლენინის სახელს ატარებს.

ჩვენს ქვეყანაში ლენინის სახელობისაა არაერთი კოლმეურნეობა, ფაბრიკა, ქარხანა. თვით რევოლუციის აკვანს, ნევის სანაპიროებზე აღმართულ ქალაქს ლენინის სახელი ჰქვია. ლენინურია საბჭოთა სახელმწიფო, ლენინურია მშობლიური კომუნისტური პარტია.

მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ყველას აქვს უფლება ატაროს ჩვენთვის ყველაზე ძვირფასი, საყვარელი ადამიანის სახელი.

ამიტომაც დავინტერესდით, გვინდოდა გაგვეგო, თუ რითი დაიმსახურა, როგორ მოიპოვა ფაბრიკის კოლექტივმა ასეთი დიდი ღირსება, დაფასება.

ამ კითხვაზე პასუხი ფაბრიკის პარტბიუროს მდივანმა ნელი არღვლიანმა გაგვცა:

— სხვანაირად როგორ შეიძლება! ორმოცდათორმეტი წლის წინათ, ლენინის ინიციატივით, რუსეთის მუშათა კლასმა ეს საწარმო საჩუქრად გამოუგზავნა საქართველოს მშრომელებს!

რევოლუციის ბელადის ეს დიდი მზრუნველობა, რუსი ხალხის გულითადი საჩუქარი ფაბრიკის ახალგაზრდა კოლექტივს პირველი დღიდანვე თავდადებულ შრომისათვის აღაფრთოვანებდა, სიმხნევეს მატებდა.

რუსი სპეციალისტების დახმარებით მოკლე დროში მოხდა დაზგების, მანქანა-დანადგარების დამონტაჟება. 1924 წლის ოქტომბრის შუა რიცხვებში, რიონის გაღმა-გამოღმა ბორცვებზე შეფენილი ქუჩები გაალვიძა საყვირის ძლიერმა ხმამ, რამაც ხალხს აუწყა, რომ ამუშავდა ქართული საფეიქრო მრეწველობის პირმშო — ქუთაისის მაუდის ფაბრიკა.

ამავე წელს ფაბრიკამ სამშობლოს 24 ათასი მეტრი მაუდი მისცა.

მაშინ ფაბრიკას მხოლოდ რვა საქსოვი დაზგა, ორი საჩეჩი მოწყობილობა და პერიოდული მოქმედების ორი სართავი მანქანა გააჩნდა.

დღითი დღე იზრდებოდა, ვაჟკაცდებოდა ახალგაზრდა საწარმო. დიდი სამამულო ომის დაწყების წინა წელს პროდუქციის გამოშვებამ 430 ათას მეტრს მიაღწია.

წარმოების გაფართოებასთან ერთად იზრდებოდა და მტკიცდებოდა ქუთაისელ მემაუდეთა რიგები. ასობით ჭაბუკი და ქალიშვილი დაეუფლა მჩეჩავის, მქსოველის, მრთველის რთულ პროფესიებს...

ომის შემდგომ ხუთწლედებში ფაბრიკა განსაკუთრებით გაფართოვდა, გაიზარდა, ახალი ტექნიკით აღიჭურვა და მძლავრ საფეიქრო საწარმოდ იქცა.

ქუთაისელმა მემაუდეებმა მეცხრე ხუთწლედის გეგმა 1975 წლის ნოემბრისათვის შეასრულეს და სამშობლოს მისცეს 6682 ტონა ნართი, 5830,7 ათასი მეტრი ხამი ქსოვილი, 2198,4 ათასი მზა შალის ნაწარმი.

პროდუქციის წარმოების ზრდამ 24,3 პროცენტს მიაღწია. მნიშვნელოვნად გაიზარდა დაზგა-საათის ნაყოფიერება.


ეროვნული ბიბლიოთეკა

მედიკო ბურჭალიანი.

## მწერალი მივლინებაში

# ობლის კვერ

— რას აკეთებ, ანა?

— ობლის კვერს ვაცხობ!

— ხელი მოგემართოს, კარგად გამოაცხე, კარგად!..

სისხამ დილით ხშირად ასე შეეხმიანებოდნენ მეზობლები ეზოში ჯარასავით დატრიალებულ, შავებით შემოსილ ქალს; მერე თავის გზას გაუყვებოდნენ და ანას კაიქალობაზე აგოძელებდნენ სიტყვას. უქებდნენ კარჯასა და კამბედაობას, თავდადებასა და სინდის-ნამუსს...

ანა კერატიშვილი და შვილიშვილი ვეფხვია.



მიხეილ კერატიშვილი ცნობილი გუთნისდედა იყო საგარეჯოს რაიონის სოფელ ნინოწმინდაში. მან ჯანიცა და სიცოცხლეც მიწას შეალია. დაქვრივებული ანას მცირეწლოვანი ბავშვები და მეუღლეზე დაულეველი დარდი დაუტოვა.

ობლების გაზრდა ჯაფას მოითხოვს, მათი კვერი — დიდ საფანელს...

ფრთამოტეხილი ანა ცალუღლით ეწეოდა ცხოვრების ჭაპანს, გასაფრენად აფრთიანებდა შებუმბლულ მართვებს. გამრჯე ქალი იმ მერცხალს ჰგავდა, ადამიანები ბუდეს რომ არ უშლიან, სიყვარულით რომ შეჰყურებენ შვილებზე ზრუნვაში მოუღლელს.

უფროსი ბიჭი თეიმურაზი ათი წლისა იყო, ივრის პირზე დაძრულ ხარგუთნეულს რომ იდევნა, უღელზე კოხტად მოკალათდა და „ჰოროველა" ააწკრიალა. პატარა მეხრეს აქეზებდნენ და ახალისებდნენ ნინოწმინდელი ბერიკაცები, უფრო მეტად კი გუთნისდედები, რომლებიც მამამისზე ნაღვლიანად ჰყვებოდნენ და ჰყვებოდნენ ათასნაირ ამბებს.

საუბარს გულისყურით უსმენდა პატარა თეიმურაზი. მისი ბავშვური გონება ბინდბუნდში აღიქვამდა წარსულს, მაგრამ კარგად ხვდებოდა, რომ მამის ნაკვალევს უნდა გაჰყოლოდა, მისი ვაჟკაცური სახელის ღირსი უნდა გაზრდილიყო, როგორც ბერიკაცები არიგებდნენ...

გავიდა ხანი. თეიმურაზს ომარიც ამოუდგა მხარში და მიხეილ კერატიშვილის ვიჟები სოფელში შესამჩნევნი გახდნენ ყველასათვის.

— კარგი შვილები ეზრდებიან ანას.

— ასეა, ასე! კვიცი გვარზე ხტისო, ტყუილად კი არ არის ნათქვამი!

ასეთ სიტყვებს ხშირად გაიგონებდით ნინოწმინდის მინდვრებში, ბაღვენახებში, გზაჯვარედინებზე...

მეხრეები კი იზრდებოდნენ, იყრიდნენ ტანს, იმაგრებდნენ მუხლს. მათ „ჰოროველას" შორიდანვე სცნობდა შავოსანი დედა და ოფლიან შუბლზე სიხარულის სხივი ეფინებოდა ხოლმე...

მერე, როცა სოფელში რკინის „ხარები" მომრავლდნენ, როცა მეხრის

ფაბრიკა სამეურნეო ანგარიშზე გადასვლის შემდეგ უფრო მაღალრენტაბელური გახდა. მეცხრე ხუთწლედში მან სახელმწიფოს მისცა 8560 ათასი მანეთი მოგება.

შარშან ფაბრიკამ გამოუშვა ახალი შალის საბანი ნიტრონის ბოჭკოთი, რომელიც გამოირჩევა თავისი მაღალხარისხიანობითა და მხატვრული გაფორმებით; აღსანიშნავია, რომ ეს ნაწარმი სამხატვრო საბჭოს მიერ შეფასდა „ფრიადზე".

ტექნიკური პროგრესის დაჩქარებაში მნიშვნელოვანი დამსახურება მიუძღვით ფაბრიკის რაციონალიზატორებს. ფაბრიკას ჰყავს სახელმოხვეჭილი მჩეჩავები, მრთველები, მქსოველები, ბევრი კარგი რამის თქმა შეიძლება ფაბრიკის მოწინავე ადამიანებზე, მაგრამ არ ვიცოდით, რომელ ერთზე შევჩერებულიყავით, რომელი ერთის შრომასა და ცხოვრებაზე მოგვეთხრო მკითხველისათვის.

— ჩვენთან ბევრი, ძალიან ბევრი მოწინავე მუშაა. ისინი პატივისცემასა და დაფასებას იმსახურებენ, — ეს მშვიდად, მაგრამ თამამად თქვა პარტბიუროს მდივანმა ნელი არღვლიანმა, და მორიდებით განაგრძო, — რა დასამალია, იყო დრო, როცა ჭაბუკები და ქალიშვილები სათოფედ არ ეკარებოდნენ ფაბრიკა-ქარხნებს, მუშის პროფესია ეთაკილებოდათ. ამ ბოლო დროს კი მდგომარეობა შეიცვალა. ახლა ახალგაზრდები პირდაპირ მერხიდან მოეშურებიან საამქროებში. კარგი იქნება, თუ ერთ-ერთ ასეთ ახალგაზრდაზე დასწერთ რაიმეს... ჩვენ გვყვანან ისეთი ახალბედები, რომლებიც ამას ნამდვილად იმსახურებენ.

კარგი წინადადება წამოაყენა პარტბიუროს მდივანმა და, რა თქმა უნდა, დავთანხმდით.

კანდიდატურაც იმან შეგვირჩია — მრთველი მედიკო ბურჯალიანი.


ეროვნული ბიბლიოთეკა

მოწინავე მრთველები (მარცხნიდან): ლალი კენჭაძე, მედიკო ბურჯალიანი, ქუქუნა ქველიძე და პარტბიუროს მდივანი ნელი არღვლიანი.

— მედიკო ყოველმხრივ უნაკლო ქალიშვილია, ლამაზი, გამრჯე, დაუზარელი. აი, ნახავთ, თქვენც როგორც მოგეწონებათ, — აღტაცებითა და სიამაყის გრძნობით გვეუბნებოდა პარტბიუროს მდივანი.

როცა მედიკო ბურჯალიანმა ჩვენი მისვლის მიზეზი გაიგო, მორცხვად გაიღიმა და მის საოცრად მეტყველ, მკვირცხლ თვალებში ქალწულებრივი სინაზით სავსე უამრავი ნაპერწკალი აციმციმდა, რამაც კიდევ უფრო გაამშვენიერა მისი თეთრი ყირმიზა სახე.

ჩვენს შეკითხვებზე მედიკო მორიდებით, გაუბედავად გვპასუხობდა, თან ისე გვაცქერდებოდა, თითქოს უნდოდა ეთქვა: „განა ღირს ჩემზე ლაპარაკი?! ჩემზე უკეთესი რამდენიც გინდა, იმდენი არიან!"

თავდაბალო, შრომისმოყვარე, გამრჯე ქალიშვილო, ქვეყნად მჯობნზე მჯობნი არ დაილევა!

ამიტომ ჩვენი ვალია ხალხს ვამცნოთ თქვენზეც, ყველა მათგანზეც, ვინც შრომობს და იღვწის ხალხის საკეთილდღეოდ, სამშობლოს სადიდებლად.

ხუთი წლის წინათ მედიკო ბურჯალიანმა ცაგერის სავაჭრო ტექნიკუმი დაამთავრა და სამუშაოდ სამრეწველო მაღაზიაში გაგზავნეს.

თავაზიანი იყო, უშფოთველოდ მუშაობდა და მომხ-

სახრეს ყავლი გაუვიდა, ომარი და თეიმურაზი მექანიზაციის სკოლისაკენ გაუდგნენ გზას, ველისციხეში ჩავიდნენ და ტრაქტორისტის პროფესიას დაეუფლნენ..

და აი, ოცდაექვსი წელია ძმები კერატიშვილები ტრაქტორებს მართავენ, გულმოდგინედ ითვისებენ მიწათმოქმედების ახალ ტექნოლოგიას, სასურველ წარმატებებსაც აღწევენ.

ამ ბოლო წლებში ძმების კიდევ უფრო დიდმა შრომითმა მაჩვენებლებმა მთელ სოფელს გაუხარა გული. თეიმურაზი რესპუბლიკის დამსახურებული მექანიზატორიც გახდა, შრომის დიდების მესამე ხარისხის ორდენით დაიმშვენა მკერდი. საუკეთესო შრომისათვის ომარმაც ბევრი შექება, კოლმეურნეობის ჯილდო და ფასიანი საჩუქრები დაიმსახურა.

როცა დღის წესრიგში დადგა მემინდვრეობაში კომპლექსური მექანიზაციის დანერგვა, ძმები პირველნი დადგნენ სტარტზე. მათ, უკრაინელ მექანიზატორთა მაგალითისამებრ, მექანიზებული რგოლი ჩამოაყალიბეს, შარშან 128 ჰექტარი სიმინდისა და მზესუმზირის ნათესი გაიპიროვნეს და კომპლექსური მექანიზაციის განხორციელებას შეუდგნენ.

გასული ხუთწლედის ბოლო წელს, როცა კერატიშვილების თაოსნობაზე მთელი რესპუბლიკა ალაპარაკდა, გულმა აღარ მოგვითმინა და მათ სანახავად გავეშურეთ.

სოფელ წინოწმინდიდან ათიოდე კილომეტრის დაშორებით, მდინარე ივრის დაცემულ ჭალებში აღმოვჩნდით. ტრიალ მინდორზე შემოქმედებითი შრომა გაეჩაღებინათ კოლმეურნეებს. აქეთ პურეულის მოსავალს იღებდნენ, იქით ვენახებს შესეოდნენ შესაწამლი აპარატებით. იყო ერთი ტრიალი და შეხმიანება. ივრის ველი უზარმაზარ, აბობოქრებულ კალოს დამსგავსებოდა.

ჭადრის ხეებთან თორმეტიოდე წლის ბიჭი შემოგვხვდა. ვეფხვია მქვიაო, გვითხრა.

— აქ რას აკეთებ? — შევეკითხეთ.

— მამ-ბიძათ ვეხმარები.

— ვინ არიან შენი მამ-ბიძანი?

— კერატიშვილები.

— ოჰო! — გავიოცეთ და მათი ადგილსამყოფელი ვიკითხეთ.

— მე მიგიყვანთ! — ქეჩო მოიქექა გახარებულმა ბიჭმა.

გზა ვეფხიასთან ერთად განვაგრძეთ.

ჩვენს თვალწინ გადაშლილ სიმინდის ყანას მუქ-მწვანე ფერი მორეოდა. გაფხვიერებულ ნიადაგში ბალახს წამლადაც ვერ ნახავდა კაცი. ორი „ბელორუსი" ერთიმეორის მხარდამხარ მიჰყვებოდა მწკრივებს და მიწას ბუღს ადენდა.

— მესამე კულტივაციაა, — აგვიხსნა ვეფხიამ, — ორ დღეში მორჩებიან...

— შენი საქმიანობის შესახებ რომ არაფერი გითქვამს.

— მე? — ბიჭი ისევ იქექავს ქეჩოს, — წყალს ვუზიდავ ხოლმე... ზოგჯერ ტრაქტორებსაც ვრეცხავ... ხანდახან სადილსაც ვაკეთებ, მააშ!

სანამ ძმებთან მივდიოდით, ვეფხიასაგან ისიც გავიგეთ, რომ მექანიზატორებს კულტივაციის დროს ნიადაგში მინერალური სასუქებიც შეაქვთ, მალე ნათესების მორწყვასაც დაიწყებენ თურმე.

მექანიზატორებმა შეგვამჩნიეს, მაშინვე ჩააქრეს ძრავები და ჩვენსკენ წამოვიდნენ.

— მოგაცდინეთ, არა? — მოვუბოდიშეთ კომპლექსური მექანიზაციის ოსტატებს.

— არა უშავს, ჩვენ მაინც შესვენებას ვაპირებდით, — ჩაიღიმა თეიმურაზმა. ომარმა კი კახური გულწრფელობით გვითხრა:

— ზოგჯერ გვაცდენენ კიდეც... მოდიან ხოლმე ჩვენი მუშაობის გასაცნობად და, სიმართლე რომ გითხრათ, ეჭვის თვალით შესცქერიან ჩვენს საქმიანობას...

მერე დაუმატა:

— ვეცდებით თავი არ შევირცხვინოთ!.. ღამეც აქა ვრჩებით ხოლმე, კეთილმოწყობილი ოთახიცა გვაქვს და საჭირო ინვენტარიც. სარემონტო სახელოსნოდან ხშირად გვაკითხავენ. გვეხმარებიან... ყველა პირობაა იმისათვის, რომ ხელით შრომის გარეშე, სათოხნი კულტურების უხვი მოსავალი მექანიზაციის საშუალებით მოვიწიოთ.

უმცროსი ძმის ენაწყლიანობამ თეიმურაზი გააოცა, ადგა და, ჩვენი თხოვნით, ახლა თვითონ დაგვიწყო ახსნა:

— გამართული მექანიზმების მეშვეობით შევძელით თოხი შორს გადაგვეგდო. კულტივაციას ვატარებთ ჯვარედინად, აგროტექნიკურ ვადებში. სარეველებს საშუალებას არ ვაძლევთ მუხლი მოიმაგროს. კომპლექსური მექანიზაციისათვის ბრძოლას შემოდგომაზე შევუდექით. მიწა მზრალად მოვხანით, გავაფხვიერეთ, დავაზიგზაგეთ, მოვასწორეთ. გაზაფხულზე კი სიმინდი ისეთი წესით დავთესეთ, როგორც მას უკრაინელი მექანიზატორები აკეთებენ. ლარივით სწორ მწკრივებში სიმინდი თანაბრად აღმოცენდა და პირველივე კულტივაციამ დაგვარწმუნა, რომ ხელით შრომის გარეშე სიმინდის მოყვანა სულაც არ არის ძნელი, თუ ტექნიკას კაცი კარგად არის დაუფლებული.

ნინოწმინდელებს ბარაქიანი ნაკვეთები აქვთ. სახნავ-სათეს სავარგულებს რკინა-ბეტონის ფილებით ჩადუღაბებული სარწყავი არხები გასდევს. ივრის ანკარა წყალი სიცოცხლის ელექსირივით მიედინება ყანებსა და ბაღ-ვენახებში.

მარებელთა სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა.

სავაჭრო ორგანიზაციის ხელმძღვანელებიც ემადლიერებოდნენ, აქეზებდნენ, დაწინაურებას ჰპირდებოდნენ, მაგრამ მედიკოს ფეიქრის პროფესია უფრო მეტად იზიდავდა.

მედიკომ არავის ლაპარაკს ყური არ ათხოვა, ადგა და მაუდის ფაბრიკაში დაიწყო დამხმარე მუშად მუშაობა.

— რატომ? — კითხვას იმეორებს მედიკო და თვალები უბრწყინავს, — იმიტომ რომ, კაცია და გუნება! ვისაც რა მოსწონს და ეხერხება, იმაზე მუშაობს, ვისაც რა პროფესია მოსწონს, იმას ირჩევს!.

ყოჩაღი, მოწადინებული გოგო იყო, გამგონე, დაუზარელი და მალე მრთველად გადაიყვანეს.

პირველ ხანებში უჭირდა მუშაობა, ძაფის ამოღებას ნორმაზე მეტ დროს ანდომებდა. ერთხანობა გულიც კი გაუტყდა, იქნებ მოვტყუვდი, შესაფერ საქმეზე არ დავიწყე მუშაობა.

ამ კითხვაზე პასუხი გამოცდილმა ფეიქარმა დოდო ჩხიკვიშვილმა გასცა, მასთან ერთად რომ მუშაობდა სართავ მანქანაზე:

— რას იზამ, ჩემო დაო, ძნელია ძაფთან ჭიდილი! მარდი გოგო ხარ, თუ მოინდომებ, არ გაგიჭირდება, მრთველის პროფესიას მალე დაეუფლები.

მედიკო გულისყურით უსმენდა თავის მასწავლებელს, ყოველ მის მოძრაობას აკვირდებოდა, იხსომებდა. ამასთანავე მეცადინეობდა საწარმოტექნიკურ კურსებზე და შრომის მოწინავე მეთოდების შემსწავლელ ჯგუფში. ისმენდა გამოცდილი ინჟინრების ლექციებსა და მოხსენებებს.

ყოველივე ამან მალე სასურველი შედეგი გამოიღო: საფუძვლიანად დაეუფლა რთვის რთულ ჩვევებს. ძაფის გადაბმას. სართავი მანქანის მუშაობის საიდუმლოებას.

ამჟამად მედიკო ბურჯალიანი რთვის ჯადოქარია, ნამდვილი ჯადოქარი! თამამად, გაბედულად მუშაობს. მის გამჭრიახ თვალსა და ყურს არაფერი გამოეპარება. მოგრძო, წვრილი თითებით სწრაფად აბამს ძაფს და იმის ნახევარ დროსაც არ ანდომებს, რაც ამ ოპერაციისათვის არის განკუთვნილი.

მედიკო განსაკუთრებულ სიყვარულს იჩენს ტექნიკისადმი. სართავი მანქანა ყოველთვის სრულ წესრიგში აქვს, ისე უვლის და დასტრიალებს, როგორც ცოცხალ არსებას.

მედიკო ბურჯალიანი კარგი მრთველია და მეგობრობაც კარგი იცისო, ამბობენ მასზე ფაბრიკის ფეიქრები. ყველას უყვარს მედიკო, ყველა ემადლიერება, მაგრამ სხვებზე მეტად მისი მადლობელი ახალგაზრდა მუშები ჟ. ჭუმბურიძე, ქ. ნიჟარაძე და ნ. ლალიძე არიან. ისინი მედიკოს დახმარებით დაეუფლნენ ძაფის ამოღების ხელოვნებას და ამჟამად საამქროს მოწინავე მუშებად ითვლებიან.

მედიკო მარტო კარგი მრთველი როდია. მას უყვარს პროზა, უყვარს პოეზია. თავადაც წერს ლექსებს. იცის კარგი მუსიკის ფასიც. ძველი ქართული ხალხური სიმღერების ტრფიალია.

ამხანაგებს, ხელმძღვანელებს მედიკო უყვართ, აფასებენ. ისინი უსაზღვროდ კმაყოფილნი არიან მისი მძიმე, მაგრამ ჭეშმარიტი და ლამაზი შრომის.

შემთხვევითი არ იყო, რომ იგი ქუთაისელმა ფეიქრებმა საქალაქო საბჭოს დეპუტატად აირჩიეს.

ჩვენ სწორედ იმ დღეებში შევხვდით მედიკოს, როცა ქუთაისის საქალაქო საბჭოს სესია მიმდინარეობდა.

მედიკო აღტაცებით უამბობდა ამხანაგებს, ამომრჩევლებს იმ გრანდიოზულ გეგმებზე, რაც მეათე ხუთწლედში ქალაქ ქუთაისში განხორციელდება.

— ამხანაგებო, დებო, ძმებო, მეგობრებო! — მიმართა ბოლოს დეპუტატმა გარსშემოხვეულ ფეიქრებს, — მინდა გაცნობოთ ჩვენთვის ყველაზე უფრო სასიხარულო ამბავი. მოგეხსენებათ, რომ ჩვენი ფაბრიკა 52 წლისაა. დაზგები, მანქანა-დანადგარები მოძველდა, საჭიროებენ შეცვლას, განახლებას. პარტიამ, მთავრობამ გაითვალისწინა ეს და მეათე ხუთწლედში ქუთაისში აშენდება მაუდის ახალი ფაბრიკა, რომელიც 18 მილიონი მანეთი დაჯდება.

— დიახ, ასეა, ამხანაგებო! — მედიკოს სიტყვას უდასტურებს ქარხნის დირექტორი ვიტალი ხაზარაძე, ახალგაზრდა, მაგრამ საფეიქრო საქმის დიდი გამოცდილების მქონე სპეციალისტი, — ეს ოცნება როდია! საპროექტო ინსტიტუტში უკვე მუშავდება ახალი ფაბრიკის პროექტი. ჩვენ ავაგებთ ფართო, ნათელ კორპუსებს. დავდგამთ საუკეთესო დაზგებს, მანქანა-დანადგარებს. ეს იქნება თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი დიდი საფეიქრო საწარმო, რომელიც ქვეყანას მისცემს ორ მილიონ მეტრ მაღალხარისხოვან შალის ქსოვილს. იმედია, ჩვენი კოლექტივი, ისევე როგორც მეცხრე ხუთწლედში, მეათე ხუთწლედშიც თავდადებით იშრომებს, მიაღწევს უფრო დიდ წარმატებებს და მოიპოვებს იმის უფლებას, რომ ფაბრიკამ კვლავაც ღირსეულად ატაროს დიდი ლენინის სახელი.

**ვანო ურჯუმელაშვილი**

თარხან არჩვაძის ფოტო.

---

ამ მადლიან მიწას წყალსა და სასუქს თუ არ მოაკლებ, ხვავსა და ბარაქას არ მოგაკლებს. ვეღარც გვალვა დაგჯაბნის და ვეღარც ქარები. ეს ჭეშმარიტება ძმები კერატიშვილების შრომამაც დაამტკიცა...

ამას წინათ კვლავ მოვინახულეთ ძმები. გავეცანით მათ შარშანდელ მაჩვენებლებს. თეიმურაზმა და ომარმა სიმინდის მოსავალი მთლიანად კომბაინით აიღეს და ჰექტარზე საშუალოდ 21 ცენტნერი მარცვალი მიიღეს.

— ეს, მართალია, არც თუ ისე ბევრია, — გვითხრა ნინოწმინდის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ გუგული ერბოწონაშვილმა, — მაგრამ ისეთ გვალვიან წელს, როგორიც გასული წელი იყო, ნამდვილად მეტს ვერავინ შეძლებდა. მისასალმებელია, რომ ძმებმა გამოცდა ბრწყინვალედ ჩააბარეს და გაპიროვნებულ ნაკვეთზე მთლიანად განახორციელეს კომპლექსური მექანიზაცია. რაც მთავარია, ძმები წარმატებით დაეუფლნენ სიმინდის ასაღებ ახალ კომბაინს, რომლის გამოცდა ჩვენთან შარშან განხორციელდა.

გუგულიმ ისიც გვამცნო, რომ შარშან კოლმეურნეობამ გადაჭარბებით შეასრულა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გეგმები. ამაღლდა მარცვლეულის წარმოება, ამით კი მნიშვნელოვნად გაიზარდა მოგება, რომელსაც ძირითადად მევენახეობა იძლევა ხოლმე.

შარშანდელი მაჩვენებლები ცუდი როდია, მაგრამ წელს, მეათე ხუთწლედის პირველ წელს იგი აღარავის აკმაყოფილებს. საჭიროა უფრო თავდადებული შრომა და მეტი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოება, რათა წარმატებით შესრულდეს პარტიის XXV ყრილობის მიერ დასახული ამოცანები.

ნინოწმინდელებმა საქვეყნოდ ივალდებულეს, რომ მეათე ხუთწლედის პირველ წელს გეგმის გადამეტებით დაამზადებენ ყურძენს, მარცვლეულს, ბოსტნეულს, ხილს, უფრო ფართოდ დანერგავენ კომპლექსურ მექანიზაციას, გაადიდებენ შრომის ნაყოფიერებას, გააიაფებენ წარმოებული პროდუქციის თვითღირებულებას.

ასეთი პირობა იოლი გასანაღდებელი როდია! მაგრამ ისეთი ადამიანებისათვის, როგორიც არიან ძმები კერატიშვილები და შრომაში ნაცადი, სამშობლოს სიყვარულით გულანთებული მათი თანამოსაქმეები, აუღებელი ზღუდეები არ არსებობს.

აპრილის ამ ბობოქარ დღეებში ომარი და თეიმურაზი ჯარასავით ტრიალებენ თავიანთ ნაკვეთში. ისინი ყველა ღონეს ხმარობენ იმისათვის, რომ მთელი ფართობი სანიმუშოდ მოამზადონ. წელს მათ 150 ჰექტარ სიმინდის ნათესებს უნდა მოუარონ და ჰექტარზე საშუალოდ 30 ცენტნერი მარცვალი მიიღონ.

მათი ამაგდარი, უკვე ხანდაზმული დედა კი კვლავაც მოწინავე მევენახეა და ვაზებს შვილებივით დასტრიალებს თავზე, უვლის და ზრდის. დედამ იცის,



თეიმურაზ კერატიშვილი.



ომარ კერატიშვილი.

რომ შრომა და ამაგი ამაოდ არ იკარგება, სინდისიერად მოწურული ოფლი — სიკეთედ უბრუნდება ოფლის მომწურავს.

— საიმედოდ გამოცხვა ობლის კვერი! — ამ სიტყვებით ეხმიანებიან ხოლმე ზვარში მოფუსფუსე ქალს სისხამ დილით გზად ჩავლილი მეზობლები და გულზე მალამოს სცხებენ ბედნიერ დედას.

ანა ბებია მადლობას უხდის გულთბილ ადამიანებს, თოხზე დაყრდნობილი უსმენს ივრის ჭალებიდან მოვარდნილ შვილთა ტრაქტორების გუგუნს და გრძნობს, რომ ობლების კვერი მართლაც საიმედოდ გამოცხვა; ამაში კი მას ჩვენი მძლავრი ქვეყანა და მხარში შეხიდული ალალი და გამრჯე ხალხი შეეშველა.

**გიორგი გიგაური**

თარხან არჩვაძის ფოტო.

# რუმინული ლექსები

1973 წელს შემოქმედებითი მივლინებით გავემგზავრე რუმინეთის სოციალისტურ რესპუბლიკაში, რათა ჩამეტარებინა მოსამზადებელი სამუშაო თანამედროვე რუმინული პოეზიის ანთოლოგიის შესადგენად. შარშან რუმინეთის მწერალთა კავშირმა ხელახლა მიმიწვია ბუქარესტში.

ამჟამად ვთარგმნი თანამედროვე რუმინელი პოეტების ლექსებს. ბევრი მათგანი გამოვაქვეყნე ჩვენს პერიოდულ პრესაში.

ბწკარედები შესრულებულია **უშუალოდ** რუმინული ენიდან, რაც გაცილებით მიადვილებს მუშაობას.

გთავაზობთ ახალ თარგმანებს.

ოთარ შალამბერიძე

### გაბრიელა მელინესკუ

## სამშობლო

სამშობლო — ცვლაა ადამიანთა.
ცვლა — თაობათა,
ერთადერთი და შეუცვლელი
გულის წინაშე,
მრავალ სხეულში რომ იზრდება.
სამშობლო —
თვალით უხილავი რელიეფია.
მიწა — წინაპრით დასახლებული.
ცა და ჰაერი,
რომელსაც ვსრუტავ
განცხრომისაგან ახეული ნესტოებით.
სამშობლო!
შენ ხარ მოწოდება კაცთა და ქალთა
და ზრდი იდუმალ პირმშოს
ჩემს ნორჩსა და ჯანსაღ სხეულში.

### ჩეზარ ბალტაგი

## ხეები გაზაფხულზე

საღამოს ბინდში ამღერდნენ ხენი.
ისე ამღერდნენ,
რომ ძარღვები დაუსკდათ ლამის.
იმ ხმებმა უცებ წარმოშვეს ფრთები.
ქათქათა ფრთები
აფათქუნდნენ სამყაროს თავზე.
ყინვის ბრჭყვიალა - სამხრეებით
განქრნენ ჩრდილები,
რათა არასდროს აღარ დაბრუნდნენ.

დარჩა მარტოდენ ლურჯი სივრცე,
ლურჯი და ლურჯი...
საგნებმა მყისვე შეიძინეს
სხვადასხვა ფორმა
და გარინდების მოხსნეს არტახი
თავიანთ ცივ და მახვილ კონტურებს.
მერე საგნები
გადაეშვნენ წყობილ ცეკვაში
და შეარხიეს თეძონი ისე,
როგორც ზღვა არხევს თავის ნაპირებს
ხანგრძლივი,
ბნელი სიზმრების შემდეგ.

### ეუჟენ ჟებელიანუ

## კარი

შენ ჩემი გზებით,
ჩემი გზებით დადიხარ ისევ,
ირწევი ჩემი თვალის მაქოში
და გორგალივით გულზე მეხვევი.
მიტომ განვიცდი
ყოველ დილით მის ძალუმ ფეთქვას
ცისკრის ზარების გამოძახილად.

საღამოობით,
თვალს რომ მოვკრავ
შენს ცარიელ სკამს,
მშრალ ქვიშასავით
ვიშლები თითქოს,
წკმუტუნებს სულიც
გალახული ძაღლის ლეკვივით
და სადაცაა ცრემლად ვიქცევი.

შენ ჩემში ფრთების ცახცახი ხარ
შეუწყვეტელი,
გგონია მართლა მიმატოვე?
ნუ, ნუ გგონია,
შენ გამჭვალავად
შემოდიხარ ჩემს ცხოვრებაში:
ჭიდან,
რომელსაც ჩვენ ჩავცქეროდით,
ზღვიდან,
რომელიც ასე გიყვარდა,
იმ უახლოეს მაღლობიდან,
სადაც ვემთხვიე
შენს გაყინულ შუბლს,
იმ სიტყვებიდან,
რომლებიც მხოლოდ
ჩვენ ორს გვესმოდა,
ოპლად შთენილი
ჩვენი სახლის კუნჭულებიდან,
სადაც სინათლე
აქანავებს დღეს აბლაბუდებს,
ტოტიდან,
შენ რომ შესცქეროდი
უკანასკნელად,
ნაცნობ ქუჩიდან,
საიდანაც მე დღესაც, დღესაც
შენი ქუსლების
ნერვიული კაკუნი მესმის —
ასე მგონია,
შინ ბრუნდები ჩქარი ნაბიჯით.

თითქოს ყველა გზა
მიკიჟინებს შენს დაბრუნებას:
გზა სახმელეთო,
გზა საზღვაო თუ საჰაერო.
ჩემში ხარ ისევ,
და იმავე დროს — სადღაც ჩემს იქით.

ეგ არის მარტო,
რომ არ ძალგიძს კარის გაღება.

### იონ ხორია

## წლის დრო

მე გავიხარე შორეული სალამით წრფელით.
ჭა მომესალმა ხის გრძელი ხელით.
ჩემს ზემოთ
ანაფორებივით ღრუბლები მიჩანს.
მათგან არ ველი აგვისტოს ხორშაკს.

ვჭამე დღის ხორცი,
ღამის ღვინოც სულში აზარტობს.
ახლა კალთაში მთვარეს ვიგდებ,
როგორც საზამთროს.
ხოლო ვარსკვლავთა მწიფე მარცვლებს
ჩვეული ეშხით,
ვიყრი და ვიყრი პეშვიდან პეშვში.

ო, შემოდგომავ,
შენი მსუყე სურნელი უცებ
ზეუწოვია ატამს და ყურძენს;
იგი ამოაქვს მიწიდან ბიას,
სიკვდილით არა, —
მას სიცოცხლე სიცოცხლით მიაქვს.

### ლუჩიან გლაგა

## დედამიწა

ჩოლზე ვიწექით
ერთმანეთის გვერდით მე და შენ.
სიცხისგან გამდნარ თაფლის სანთელს
ჰგავდა ჰაერი
და ნაპურალზე მილივლივებდა
თვლემამორეულ მდინარესავით.
უწყალოდ დუმდა ირგვლივ ყოველი,
ხოლო ამ დუმილს
საიდუმლო ეჭვი კაწრავდა:
ნუთუ,
ამხელა დედამიწას,
ჩემთვის სათქმელი
სულ ერთი სიტყვაც არ გააჩნია?!
ნუთუ
ამხელა დედამიწა არაფერს მეტყვის?!
და ბალახს მშვიდად დავადე ყური.
იმ შორეული სიღრმიდან უცებ
მე გავიგონე
ნაზი ფეთქვა შენი გულისა.
მე დედამიწამ პასუხი გამცა.

### ანგელ დუმბრევიანუ

## ცისფერი ჭიშკარი

მე მესმის ფრთხილი მოძრაობა,
როცა ლურსმანზე,
სნეულ ვარსკვლავს რომ დამსგავსებია,
შენ ჰკიდებ სამოსს.
მესმის,
როგორი მზრუნველობით ხურავ ფანჯარას
როგორ ეცემა ხმელი ფოთოლი.
მესმის და მუდამ ასე მგონია,
უკანასკნელად მესმის...
რარიგად ფეთქავს საფეთქელი,
რარიგად ფეთქავს...
ვგრძნობ,
ვიღაც ურტყამს ცისფერ ჭიშკარზე,
სადაც გელოდი მთელი სიცოცხლე.
ვგრძნობ,
ვიღაც ჩაქუჩს ურტყამს იმ ვარსკვლავს,
ჩემს დამჭკნარ აზრში რომ ჩარჭობილა..

ეროვნული ბიბლიოთეკა



ეროვნული ბიბლიოთეკა

იური ნაგიბინი

მხატვარი ლორეტა შენგელია

# რად მინდა ასეთი ცოლი?..

მოთხრობა

მილენა ძალზე გამოირჩეოდა სანატორიუმის სასადილოს ოფიციანტი ქალებისაგან: ტანმორჩილი იყო, შავგვრემანი, ბოშა ქალივით მუქკანიანი; ძლიერი და მოკლე ფეხები ჰქონდა — კანჭდაბალი გოგო იყო. ყველა დანარჩენი ოფიციანტი ახალი მეტრდოტელის გემოვნებას ზუსტად შეესაბამებოდა. მოჭიდავესავით ჩაფსკვნილი მეტრდოტელი მუდამ ფრაკში იყო გამოწყობილი, ატარებდა გახამებულ პერანგს და თმა ბრიოლინისაგან სარკესავით უპრიალებდა. ოფიციანტთა შორის, თითქოს საგანგებოდ შეარჩიესო, უკლებლივ ყველა გოგო ქერა, მაღალი და გრძელფეხება იყო; ყველას გრძელი სხეული და კრაზანასავით წვრილი წელი ჰქონდა. ზოგი მათგანი ადრე ლუდის ბარში მუშაობდა. ასეთი ბარები მრავლად იყო ქალაქის გარშემო მდებარე მწვანე მთების კალთებზე. უმრავლესობა ოფიციანტებისა კი სასადილოში პირდაპირ სკოლის მერხიდან მოვიდნენ; ამიტომ ისინი არ იყვნენ გაწაფული ამ საქმეში და არც გამოცდილება გააჩნდათ. სამაგიეროდ, მეტრდოტელის აზრით, მათ მშვენიერ გარეგნობას, ოქროსფრად გამუქებულ კანს და ატმისფერ ლოყებს ხელი უნდა შეეწყო კუჭის წვენის ძლიერი გამოყოფისათვის თვით იმ ავადმყოფებშიც კი, რომლებსაც კუჭის ნულოვანი სიმჟავე ჰქონდათ. ამიტომ მას დიდ უბედურებად არ მიაჩნდა, როცა რომელიმე მათგანი კერძს დააქცევდა, ან თეფში იატაკზე დაუვარდებოდა, ან თავის სადაფისფრად შეღებილ ფრჩხილს პირდაპირ წვნიანში ჩააწობდა, ან ჩამორიგებისას კერძებს აურევდა. მაგრამ ფრაკიანი მეტრდოტელი ცდებოდა: ავადმყოფები ძალიან მგრძნობიარენი იყვნენ ყველაფრისადმი, რაც მათ დიეტას შეეხებოდა. ასე მაგალითად, კუჭის წყლულით დაავადებული რომელიმე ავადმყოფი, რომელიც მიწერილი იყო „მერვე მაგიდაზე“ და მარტო მოხარშული ეჭმეოდა, მიირთმევდა რა ჰამბურგული წესით შებრაწულ ბიფშტექსს, ან წიწაკიან ხარჩოს, მაშინვე აღშფოთებული ჩიოდა დიასახლისთან, რომ მას არასწორად აჭმევდნენ და ახლა იგი ყოველ წუთს ცუდად გახდომას უნდა მოელოდეს; ხდებოდა ისედაც, რომ ავადმყოფი მაშინვე მიუთითებდა ოფიციანტს შეცდომაზე, მაგრამ უფრო ხშირად კი ავადმყოფი ჩხუბს ასტეხდა მას შემდეგ, როცა გემრიელად მოასუფთავებდა აკრძალულ კერძს. დიასახლისი მაშინვე პასუხს სთხოვდა დამნაშავეს ლანძღავდა, არცხვენდა და ზოგჯერ ჯარიმასაც ახდევინებდა.

სასადილოს უზარმაზარ დარბაზში ხშირ-ხშირად იფეთქებდა ხოლმე ჩხუბი — ავადმყოფები და დიასახლისი შავ დღეს აყრიდნენ დაბნეულ და მოუხერხებელ ლამაზ ოფიციანტებს. გოგოები ადგილს არ კარგავდნენ მხოლოდ მეტრდოტელის წყალობით, რომელსაც მტკიცედ სჯეროდა, რომ სილამაზეს განმკურნავი ძალა აქვს.

თვით ის ოფიციანტები, რომლებიც უწინ ბარში მსახურობდნენ, სასადილოში ვერ აუდიოდნენ თავის საქმეს. სულ სხვაა მიართვა მუშტარს კათხით ლუდი, თანაც მიუგდო მაგიდაზე მუყაოს პატარა რგოლი, რომელზედაც წარწერილია: „პლზენი“, და სულ სხვა საქმეა ათრიო უზარმაზარი ლანგარი ათასნაირი კერძებით და, ამასთანავე, დაიმახსოვრო, ვის რა უნდა მიუტანო.

ამ აფორიაქებულ სასადილოში უჩვეულო და შესამჩნევი იყო ის მშვიდი უბანი, რომელიც პატარა მილენას ებარა; მილენა ბზრიალსავით ტრიალებდა თავის მოკლე და ღონიერ ფეხებზე, და არც კი იხედებოდა პერსონალურ მენიუში, აწვდიდა ყველას იმას, რასაც უკვეთავდნენ. მას არასოდეს არაფერი არ დავარდნია ხელიდან, არც დაუღვრია და არც გაუტეხავს. შესაძლებელია, სწორედ ამიტომ სასადილოს ფრაკიანი მბრძანებელი ძალაუნებურად ურიგდებოდა იმას, რომ მისი თეთრი გედების გუნდში შაშვის შავი ბარტყი შემოპარულიყო. გედები ნაკლებად შემწყნარებლები იყვნენ — ისინი საშინლად ბრაზობდნენ თავიანთ მარჯვე და ჰკვიან ამხანაგზე.

უბრალო და კეთილი გულის მილენა ცდილობდა მათ დახმარებოდა, ხშირად უჩვენებდა, თუ როგორ უნდა განელაგებინათ ლანგარზე თეფშები და ჯამები, როგორი თანმიმდევრობით უნდა დაეცალათ ლანგარი წონასწორობის დაურღვევლად და როგორი მოძრაობები უნდა გაეკეთებინათ, რათა არ დაეკარგათ სიმძიმის ცენტრი.

— როგორც კი იგრძნობ ერთ მხარეს გადახრას, დახარე ხელის მტევანი იმავე მიმართულებით, ხოლო ლანგარი ოდნავ დაწიე, შემდეგ ნელ-ნელა ისევ ზევით აიტაცე, — უხსნიდა მათ მილენა.

იგი ხელის გულზე იდებდა სხვადასხვა ჭურჭლით დატვირთულ ლანგარს, მარჯვედ უქცევდა გვერდს თითოეულ მაგიდას და მოხვევის დროს მუხლებს ოდნავ ღუნავდა. მილენა იდაყვში მოხრილი ხელით ლანგარს ხან მაღლა ასწევდა, ხან ნელა დაუშვებდა ქვევით. იგი ისე დაცლიდა ლანგარს, თითქოს ყურადღებას არ აქცევსო სიმძიმის ცენტრის გადანაცვლებას, სინამდვილეში კი ხელის გულის დახრილობას ცვლიდა და ამით წონასწორობას ინარჩუნებდა.

ქალიშვილები ცდილობდნენ, მისთვის მიებაძათ და.. თეფშები გრუხუნით ცვიოდა იატაკზე. მიუხედავად ამისა, მილენას საგნობრივ გაკვეთილებს გარკვეული სარგებლობა მოჰქონდა, მაგრამ რაც შეეხებოდა კერძების ჩამორიგებას, ამ საქმეს არაფერი ეშველა. ყველას უკვირდა, როგორ არ ეშლებოდა მილენას, ვისთვის რა მიეტანა.

— აბა, როგორ უნდა შემეშალოს? — უკვირდა მილენას, — ეს ხომ ზიანს მოუტანს ავადმყოფს!

— განა ჩვენ გვინდა მათთვის ზიანის მიყენება, — ამბობდნენ განაწყენებული ქალიშვილები, — მაგრამ განა შეიძლება ყველაფერი გახსოვდეს?

— რატომაც არა? — უფრო უკვირდა მილენას, — თითოეულს მხოლოდ ექვსი-შვიდი მაგიდა გაბარიათ, რაღაა აქ დასამახსოვრებელი?

ქალიშვილებს ეჩვენებოდათ, რომ მილენა მათ ატყუებს, რომ მან იცის რაღაც საიდუმლოება, რომელსაც არ ამხელს. მათ შეხჩივლეს მილენას ქმარს, ფრანტიშეკს, ყოველდღე სამუშაოს შემდეგ რომ მოდიოდა მილენას წასაყვანად თავისი მოტოციკლეტით. ძვალმსხვილა, ვეება ფრანტიშეკი თავისი რახრახა „იავათი“, მრისხანე შთაბეჭდილებას სტოვებდა. ტყავის ქურთუკის შიგნით, ფრანტიშეკს შესამჩნევად შესუქებული მუცელი მოუჩანდა. ეს იყო ეგრეთწოდებული ლუდის ღიპი. წლების განმავლობაში ფრანტიშეკი სამუშაო დღეებში თხუთმეტიდან ოცამდე კათხა ღია ფერის ლუდს სვამდა, კვირაობით კი ოცდაათამდე. იგი წესრიგის მოყვარული კაცი იყო და მტკიცედ იცავდა თავის ჩვევებს. თავის პატარა ღიპსაც კი დიდი პატივით შესცქეროდა, თუმცა ღიპი აუშნოებდა მის წარმოსადეგ ტანს და მუშაობაშიც უშლიდა ხელს. ფრანტიშეკი მაღაროში მუშაობდა. იგი დიდად აფასებდა და სიყვარულით ეპყრობოდა ყველაფერს: მაღაროს, ამხანაგებს, სტადიონს, თავის სახლს და პატარა ცოლს, თუმცა კარგად იცოდა, რომ მილენა ბევრს შეუხედავი ეჩვენებოდა და მისთვის შეუფერებლად თვლიდა კიდეც. ფრანტიშეკი უბრალო, მტკიცე და სამართლიანი ადამიანი იყო, რომელიც ძალიან სასიამოვნო და საიმედოა ცხოვრებაში და საშინლად მოსაწყენია წიგნის ფურცლებსა და კინოეკრანებზე.

ფრანტიშეკი ძლიერ ნაწყენი დარჩა, როცა ოფიციანტებმა მილენაზე შესჩივლეს, თუმცა არაფერი შეიმჩნია. „გამოვარკვევო“ — ჩაილაპარაკა მან. კარგი მომუშავე და ამხანაგის მოყვარული ფრანტიშეკი თვლიდა, რომ მის ცოლსაც კარგი რეპუტაცია უნდა ჰქონოდა სამსახურში და აი, აღმოჩნდა, რომ ცოლის მეგობრები მასზე შემომწყრალნი არიან, — მილენა მეტიჩრობსო.

...მილენა სასადილოდან გამოვიდა. მას შინ ნაქსოვი კოფთა და მოკლე, შავი ქვედაკაბა ეცვა. მილენამ ფეხი მოტოციკლეტის დასაჯდომზე გადაიტანა, ქმარს უკან მიუჯდა და პატარა, ღონიერი ხელებით მის ქურთუკს ჩაეჭიდა. მოტოციკლეტი ადგილს მოწყდა. ქარმა მილენას ქვედაკაბა აუფრიალა და მუქი ფეხები, მრგვალი, გლუვი და სადაფისფერი მუხლები გამოუჩინა, ხოლო შუბლიდან თმა გადაუყარა.

მათი სახლი ქალაქსა და მაღაროს შორის, შუა გზაზე იყო. გასცდნენ თუ არა ქალაქის საზღვარს, ფრანტიშეკმა მოტოციკლეტი გააჩერა და ცოლთან შთამაგონებელი და მშვიდი საუბარი გააბა. მილენამ ვერ აუხსნა მას რაში იყო საქმე.

— იქნებ სტაჟი გაქვს მათზე მეტი? — ჩაეძია ფრანტიშეკი.

— დიდი ამბავი, ორი თვით მეტი თუ მაქვს!

— გაუზიარე მაინც შენი გამოცდილება?!

— ვეცადე, მაგრამ გოგოებმა რაღაც ვერ იაზრეს.

— ყველანი იმას ამბობენ, რომ შენ სულ თავის გამოჩენაზე გიჭირავს თვალი, — ძლივძლივობით წარმოთქვა ფრანტიშეკმა ეს შეურაცხმყოფელი წინადადება.

— ღმერთმანი, მე არ ვმეტიჩრობ, ფრანტა, უბრალოდ ვმუშაობ და მორჩა... შეიძლება ცოტა უფრო მეტი ყურადღებით, ვიდრე სხვები! — წარმოთქვა მილენამ და დაფიქრდა, თითქოს მას პირველად მოუვიდა თავში აზრად ის, თუ რატომ მუშაობდა სხვებზე უკეთ.

— დაუფიქრდი შენს საქციელს, — ურჩია ფრანტიშეკმა, — ხომ არ შეიძლება კოლექტივი ცდებოდეს!

ფრანტიშეკმა გამოთქვა ეს ზოგადი აზრი და დარწმუნდა, რომ ოჯახის უფროსის მოვალეობა შეასრულა. მან დასძრა მოტოციკლეტი და სალამოს გრილ ბინდში გაქრა.

რა თქმა უნდა, ამ საუბარს არაფერი შეუცვლია არც მილენას საქციელში და არც ამხანაგების მისდამი დამოკიდებულებაში. მართლაც, ხომ არ შეეძლო მილენას, ამხანაგების გულის მოსაგებად ხელიდან გაეგდო თეფშები, ანდა ქოლეცისტიტით დაავადებული გენერლისათვის დაბეგვილი ცხვრის სორცი და მომღერალ ქალისათვის, რომელიც ნივთიერებათა ცვლის დარღვევას უჩიოდა, კლენდიკები მიეტანა. ფრანტიშეკი ხვდებოდა, რომ მის ლაპარაკს შედეგი არ მოუტანია და უხმოდ იტანჯებოდა.

მალე მილენამ იგრძნო, რომ დედა უნდა გამხდარიყო, ამიტომ დატოვა სასადილო და უფრო ადვილ სამუშაოზე გადავიდა — კოლონადასთან, სახელგანთქმული „წისქვილოვანი“ წყაროს ახლოს ჭიქების შესანახში. ამ ჭიქებით ავადმყოფები სამკურნალო წყალს სვამდნენ; ეს დანომრილი ჭიქები ჩამწკრივებული იყო თაროებზე, რომლებიც წიგნის სტელაჟებს წააგავდნენ. ავადმყოფი აწვდიდა ფანჯარაში მრგვალ ნომრიან ჟეტონს და იღებდა თავის ჭიქას. წყლის დალევის შემდეგ იგი აბრუნებდა ჭიქას და უკან მიჰქონდა თავისი ჟეტონი. მილენას მოვალეობას შეადგენდა ჭიქების გაცემა, მიღება და შუადღისას, როცა ავადმყოფების ნაკადი კლებულობდა, ამ ჭიქების გარეცხვა. სასადილოში დაძაბული და დამღლელი სამუშაოს შემდეგ ეს მუშაობა მილენას თამაშად ეჩვენებოდა. რცხვენოდა კიდეც თითქმის ისეთივე ხელფასის მიღება, რომელსაც ოფიციანტს აძლევდნენ.

ახლა ფრანტიშეკი თავის „ბენზინის ცხენს“ კოლონადასთან აჩერებდა. მას მოსწონდა იქაურობა, მოსწონდა ლამაზად ჩაცმული ხალხი, ავადმყოფობის მიუხედავად, მხიარული და უზრუნველი რომ ჩანდა. მათ შორის ბევრ ქალიშვილს მოდურად ორფერად შეღებილი თმა ჰქონდა, მათ მოკლე კაბები ეცვათ — მუხლებს ზემოთ. შაბათ-კვირას მუსიკა უკრავდა, ორკესტრი კოლონადის თაღის ქვეშ, ნიჟარაში თავსდებოდა, ხოლო დირიჟორი მოპირდაპირე სახლის ფანჯარაში იდგა.

მოგრძო ღია ფანჯარაში, რომლის წინ უცებ ჩნდებოდა და შემდეგ ნელ-ნელა დნებოდა რიგი, მილენას მუქი მკლავები და მის გვერდით მომუშავე ქალის ვარდისფერი, ჭორფლიანი ხელები გაიელვებდა ხოლმე. მეორე რიგი ორ მწკრივად მიემართებოდა „წისქვილოვანი“ წყაროსაკენ, სადაც თეთრთავსაფრიანი გოგონები ავსებდნენ ჭიქებს ორი ონკანიდან. ფრანტიშეკს მოსწონდა ასეთი წესრიგი და მშვიდი სანახაობა.

ამიტომაც ძალიან მწარედ მოხვდა გულზე, როცა ერთ მშვენიერ დღეს მილენაზე კვლავ გაიგონა საჩივარი; ჩიოდა მილენასთან ერთად მომუშავე ქალი და მას მხარს უჭერდნენ ქალიშვილები მეორე ცვლიდან.

— დააწყნარე შენი ცოლი, ფრანტიშეკ, რა თავს იწონებს, ორდენს მაინც არავინ მისცემს!

— რა ჩაიდინა ასეთი?

— ჩვენ ჭიქებს ნომრების მიხედვით ვაძლევთ, ის კი შეხედავს კლიენტს და პირდაპირ აწვდის ჭიქას.

— არაა კარგი ასეთი საქციელი, — მისცა ფრანტიშეკმა შენიშვნა ცოლს, — ხომ შეიძლება შეგეშალოს!

— ეშმაკმა წაიღოს მაგის თავი, საქმეც ესაა, რომ ჭიქებს არასოდეს არ ურევს. ვიდრე ჩვენ ერთს მოვემსახურებით, ის ხუთს ისტუმრებს. ამიტომაც ჩვენ ყველა გვლანძღავს.

ფრანტიშეკმა თვალი შეავლო უსასრულო სტელაჟებს, რომლებიც სავსე იყო ცხვირიანი ფაიფურის ჭიქებით: ზოგი თეთრი იყო, ზოგიც ნახატებიანი, ზოგი ლურჯი ოქროსფერით, ყვითელი ორნამენტით, ქალაქის წითელი გერბით, დიდი და პატარა, ბრტყელი და მუცლიანი.

ამის დანახვაზე ფრანტიშეკი უგუნებოდ შეიქმნა.

— სულ რამდენი ჭიქა გაქვთ? — იკითხა მან.

— ათას ოთხას სამოცდაორი.

— გამოდის, რომ შენ ათასხუთასამდე ჭიქის ნომერი გახსოვს! — უცნაური, დაჭიმული ხმით მიმართა ფრანტიშეკმა ცოლს.

— არა-ა,, — მილენას მუქ ყავისფერ თვალებში დაბნეულობა გამოიხატა, — მე ადამიანები მახსოვს... თუმცა!.. — გაუხარდა უცებ მილენას, ეტყობოდა, რაღაც ახსნა იპოვნა, — ერთი-ორჯერ რომ მიაწოდებ ვინმეს ჭიქას, უკვე გახსოვს — ამას ლურჯი აქვს, რგოლიანი, იმას — თეთრი, მოტეხილი ყურით.

— ერთნაირი ჭიქებიც ხომ გაქვთ?

— სულ ერთნაირი არც ერთი არაა; გარდა ამისა, მე მახსოვს ჭიქას რომელ ადგილზე ვდგამ. — მის სახეზე კვლავ დაბნეულობა გამოიხატა, — რას შემომიჩნდი, — გაბრაზდა უცებ მილენა, — ვმუშაობ როგორც შემიძლია, ვერავინ ვერ დამემდურება.

— სამაგიეროდ, სხვებზე ბრაზობენ! — ფრანტიშეკის რძისფერი სახე წითელი ლაქებით დაიფარა, — ისევ იწონებ თავს არა?!

ფრანტიშეკს ახლა მოაგონდა ის პატარა უცნაურობები, რომლებიც მათ ცხოვრებაში ხდებოდა და რომლებიც მას ან უკვე დაავიწყდა, ან ცდილობდა დაევიწყებინა. ფრანტიშეკმა კარგა ხანია თავი დაანება შაშის და კარტის თამაშს, რადგან მუდამ აგებდა მილენასთან; ანდა როდის მოასწრო და ისწავლა მილენამ შაშისა და პოკერის თამაში, კუნკენუ და ბრიჯი?! უბრალოდ, ხშირად უყურებდა ფრანტიშეკის და მის იმეგობრების თამაშს. ერთ მშვენიერ დღეს ფრანტიშეკმა ძალის მოსინჯვა მოინდომა მილენასთან და ორ წუთში დამარცხდა. იგი შეეცადა შემდეგი ხელი მაინც მოეგო, მაგრამ ეს არც ისე ადვილი აღმოჩნდა. მილენა დაბნეული სახით წამდაუწუმ სამზარეულოში გარბოდა, ეტყობოდა მისი გონება სხვა რამით იყო დაკავებული და მაინც ყველა ხელს იგებდა. სასოწარკვეთილებამდე მისულმა ფრანტიშეკმა მისი მოტყუება დაიწყო. მილენა ბრუნდებოდა სამზარეულოდან, ვერაფერს ვერ ამჩნევდა და კვლავ იგებდა მორიგ პარტიას. მხოლოდ ახლა მიხვდა ფრანტიშეკი, რომ თავისი უცნაურად მოწყობილი ტვინით მილენა მის თაღლითობას ხვდებოდა, მაგრამ საკუთარ ძალაში დარწმუნებული, ყურადღებას არ აქცევდა ამას. ფრანტიშეკმა საშინლად დამცირებულად იგრძნო თავი. მას უნდოდა გაექროლებინა თავისი მოტოციკლეტი და სამუდამოდ გადაკარგულიყო, მაგრამ მილენა ბავშვს ელოდებოდა და შვილის წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობამ დათრგუნა მასში პატივმოყვარეობა. ფრანტიშეკმა საუკეთესო გამოსავალი იპოვა. მისი შუამდგომლობით უფროსმა მილენა წყაროზე სამუშაოდ გადაიყვანა, იქ კი, რაც არ უნდა გამოეჩინა თავი, ჭიქას სხვებზე ჩქარა ვერ აავსებდა.

ფრანტიშეკისა და მილენას ცხოვრება ისევ ჩადგა ჩვეულ კალაპოტში. მალე მილენა კუთვნილ შვებულებაში გავიდა და მშვენიერი ბიჭიც ეყოლა. ხოლო ფრანტიშეკი სალამოს სკოლაში შევიდა, ისე რომ სამუშაოსათვის თავი არ დაუნებებია. უნდოდა, მის შვილს უმაღლესდამთავრებული მამა ჰყოლოდა. ფრანტიშეკის სახელი იმ ხანებში გაზეთის ფურცლებზე მოხვდა: მართლაც, ადვილი საქმე როდია, ასე კარგად იმუშაო, რაიონში ყველაზე შორს ისროლო ურო და თანაც ისწავლო. ფრანტიშეკი მეცხრე ცაზე იყო. იგი არ ერეოდა მილენას საქმეში — არასოდეს არ ტრიალებდა სამზარეულოში და როგორც სხვა ქმრები, არ ჰყოფდა ცხვირს მაცივარსა და გაზის ღუმელში, არც ცოლის საოჯახო განკარგულებებში ერეოდა. მიუხედავად ამისა, თავის თავს დამსახურებულად სთვლიდა ოჯახის უფროსად, მართებულად, რადგან ყოველთვის მილენაზე უფრო მეტს იღებდა და ცდილობდა ყოფილიყო მილენაზე ნახევარი ნაბიჯით მაინც წინ. ასეც იყო ყოველთვის, სანამ მილენა თავის გამოჩენას არ დაიწყებდა, მაგრამ ბოლო ხანებში ამასაც ბოლო მოეღო.

მალე მოწმენდილ ცაზე შავი ღრუბელი ჩამოწვა. ამ დროისათვის მილენამ მაღაზია „ტუქსეში! გამყიდველად დაიწყო მუშაობა; ამ მაღაზიაში ვაჭრობა ვალიუტასა და ბონებზე წარმოებდა.

ერთ სალამოს ფრანტიშეკმა მილენას გაუარა მილენა კალათბურთელების სიმაღლის კოხტად ჩაცმულ ორ ზანგ ბიჭს ემსახურებოდა, თანაც რაღაც გაურკვეველ ენაზე ელაპარაკებოდა.

ზანგები იღიმებოდნენ და თეთრ კბილებს აჩენდნენ. ფრანტიშეკმა, როგორც საერთაშორისო კურორტის ყველა მცხოვრებმა, იცოდა მრავალი ენის ხმოვანება. იგი უცებ მიხვდა, რომ მილენას ბუტური არ მიეკუთვნებოდა არც გერმანულ, არც ინგლისურ, საერთოდ, არც ერთ რომაულ ან სლავურ ენებს. ფრანტიშეკს მოეჩვენა, რომ მილენა თვალთმაქცობდა, ვითომ აფრიკული ვიციო და ზანგები მას დასცინოდნენ. ფრანტიშეკმა მუშტები მოკუმა. მართალია, მის მკერდში ინტერნაციონალური გული ფეთქავდა და მილენაც აშკარად დამნაშავე იყო. მაგრამ ფრანტიშეკი თავის ცოლს სასაცილოდ არავის აიგდებინებს. მან უკვე ნაბიჯიც გადადგა დახლისკენ.

როცა ერთ-ერთმა ზანგმა მილენას რაღაც უთხრა, მან ისე თავისუფლად და თვითდაჯერებულად გასცა პასუხი, რომ გაცეცხლებულ ფრანტიშეკს გადაფურთხება მოუნდა. მილენამ ზანგებს გადასცა დიდი პაკეტი. მათ მადლობის ნიშნად სქელი მელნისფერი ტუჩებით ხელზე აკოცეს მილენას და მაღაზიიდან გავიდნენ.

— რა აბდაუბდას ლაპარაკობდი? — ჰკითხა ფრანტიშეკმა.

— ეს აბდაუბდა კი არა, სუაჰილია, — მშვიდად მიუგო მილენამ.

— რა-ა?

— სუაჰილი — შავი აფრიკის ენა.

— შენ გინდა თქვა, რომ სუაჰილი იცი?

— ცოტაოდენი მესმის.

— საიდან იცი ეს ენა? თქვენ რა, გასწავლიან სუაჰილს?

მილენას თვალებს კვლავ დაბნეულობა დაეტყო.

— არა. იცი... აქ ხშირად შემოდიან ზანგები, ეტყობა, მათი ლაპარაკიდან ჩამრჩა.

— შენ, ალბათ, ცუდად ლაპარაკობ, თავს ნუ ირცხვენ, — ურჩია ფრანტიშეკმა.

მილენამ მორჩილად დახარა თავი.

ფრანტიშეკმა მაინც გადაწყვიტა ექიმისათვის ეკითხა რჩევა მილენას უცნაურობათა გამო. ექიმმა დაამშვიდა იგი. ბუნება ხშირად აუხსნელი გულუხვობით აჯილდოვებს სრულიად ჩვეულებრივ ადამიანს ფენომენური მეხსიერებით, რომელიც ადამიანის სხვა მონაცემებს არ შეესაბამება...

ფრანტიშეკი დამშვიდდა. ახლა იგი ხუმრობდა კიდეც თავისი ცოლის კურიოზულ თვისებებზე — დაემახსოვრებინა ყველაფერი განურჩევლად. მან კარგად ჩააბარა გამოცდები, დაასრულა მეცხრე კლასი, ყველაზე შორს გაისროლა ურო და მასზე კვლავ დაწერეს გაზეთებში. ერთი სიტყვით, ფრანტიშეკი ნახევარი ნაბიჯით უსწრებდა მილენას.

უკანასკნელად ფრანტიშეკი ამ ზაფხულს ვნახე ლუდის დარბაზ „ორიონში“. საშინლად ცხელოდა. ლიმონის წვენის დასალევად შევედი და ფრანტიშეკს გადავეყარე. ფრანტიშეკი გასუქებულიყო. მის ლუდის ლიპს უფრო დასრულებული სახე მიეღო,

ხოლო მისი თეთრი, რძისფერი სახე გამოუვალ მწუხარებას გამოხატავდა. მის წინ მაგიდაზე იდო გამოუცლელი კათხა და მუყაოს რგოლების მთელი გროვა. ეტყობოდა, ფრანტიშეკს კვირა დღის ჩვევები სამუშაო დღეებზეც გაევრცელებინა. მან, რაღა თქმა უნდა, დამინახა და მიცნო კიდეც. მაგრამ ჩემს დანახვაზე ზრდილობის გამო არ გამოუხატავს სიხარული, როგორც ჩვენს ძველ ნაცნობობას შეჰფეროდა. საუბარი ვერ აეწყო. მხოლოდ მაშინ, როცა დავთანხმდი დამელია მასთან ერთად ლუდი — ადგილობრივი ლუდი სასარგებლოა კუჭნაწლავის დაავადებისათვის, რადგან იხარშება შპრუდელის სამკურნალო წყალზე — ფრანტიშეკმა ოდნავ გამოიდარა. მალე იგი ჩემდამი ძველებური ნდობით განეწყო და გული გადამიშალა. მისი ოჯახური ცხოვრება ვერ აეწყო: სამი დღის წინ ფრანტიშეკს ცოლისთვის შეუსწრია... როცა იგი სახელმძღვანელოებს უჯდა.

— განა ეს კარგია? — ბუტბუტებდა ფრანტიშეკი და ტუჩს ლუდით ისველებდა, ისე რომ ქაფი ტუჩზე რჩებოდა, — ზის თავისთვის და ამოცანებს ხსნის.

მე ვუპასუხე, რომ ამაში ვერაფერ ცუდს ვერ ვხედავ.

— აი, ისიც მაგას მეუბნება, — იმეორებდა ფრანტიშეკი, — ქმარი მუშაობს, ურომ ისვრის, სადამოს სკოლაში დადის, იქანცება, იღლება... და ვისთვის, რისთვის? რა თქმა უნდა, ოჯახისთვის. ოჯახისთვის ცდილობს საწყალი, ცოლისთვის, ბავშვისთვის!.. გამიგე ძმაო, მე ალგებრას ვსწავლობ... A პლიუს B... თავი მიბრუის, ათასნაირ სიზმრებს ვხედავ... ჩემზე გაზეთებში წერენ, — და მან სპეცტანსაცმლის ჯიბეები მოქექა, ამოიღო დაჭმუჭნილი, შემოხაზული გაზეთის ამონაჭერი, — ის კი მეუბნება, უსაქმობისაგან ამოცანების ამოხსნა დაიწყეო. მე ველარ ვიცლი და შინ არა ვარ. მას კი სწყინდება.

— ღმერთო ჩემო, რა არის ამაში ცუდი?! — შევუყვირე მე.

— შენ იცი, როგორ ამოცანებს ხსნიდა? — ხმას დაუწია ფრანტიშეკმა და დაგეშილივით მიმოიხედა, — ის ხსნიდა ამოცანებს ინ..., — ფრანტიშეკს ხმა ჩაუწყდა, — ინტე, — ყელში სპაზმამ მოუჭირა მან ხელი მოისვა ყელზე, შესვა ლუდი, მერე ცხვირი მაგრად მოიხოცა. შემდეგ კი თითქოს შეეშინდა, სუნთქვა კვლავ არ შეწყვეტოდა, სწრაფად მომაყარა, — ინტეგრალებზე!

მე გავჩუმდი. მართლაც, რა უნდა მეშველა უბრალო, ჩვეულებრივი გონების ადამიანისათვის, რომელსაც განგებამ მიუსაჯა გენიოსთან იცხოვროს?.

კარლოვი ვარი

თარგმანი გიორგი ნატროშვილისა.

# არნო ონელი 75 წლისაა

არნო ონელს დაბადების 75 წელი შეუსრულდა. ჟურნალ „დროშის" რედაქცია მეგობრულად ულოცავს ამ ღირსშესანიშნავ დღეს ღვაწლმოსილ პოეტს და უსურვებს ახალ შემოქმედებით წარმატებებს, ჯანმრთელობასა და დღეგრძელობას.

ვბეჭდავთ პოეტის ორ ახალ ლექსს.



## გაზაფხულო, დიდება შენდა!

ამღერებულან სხვა ჯავარით, სულ სხვა კილოზე
ეს ჩანჩქერები, ეს წყარონი და მდინარენი...
გაზაფხულია (მობრძანებას მისას გილოცავთ!),
იკაზმებიან მთები ნაზამთრ-ნამძინარევი

ნაირფერადად. ტყეს ზურმუხტი, ხეხილს ყვავილი
მოსძალებია. ძირს მოცვივის მზე ალმასებად,
და ყველგან... დიახ, სხვა კილოზე გადაყვანილი
ბუნება სულ სხვა სიყვარულით გვესაუბრება.

თესლნი ღვივიან. და ახალი სიცოცხლე მოდის.
იღწვის მარჯვენა. სიმღერასთან და გულთან ერთად,
მოგეცათ ლხენა, ან ნიავი ჰქროდეს და ჰქროდეს.
მაშ, გაგიმარჯოს გაზაფხულო, დიდება შენდა!

## შვილიშვილი

ფანდათან, ნელა, წუთიწუთობით
სულში შემოდის ვით განთიადი,
და ჩნდება რაღაც გრძნობა დიადი,
სულ ახალი და დღემდის უცნობი.

ვმადლობ განგებას, ეს რა მაჩუქა,
ეს რა ყვავილი ზღაპრულ მდელოთა,
გულში კუნჭული, სადაც ბნელოდა,
მზის შარავანდით რომ გააშუქა.

და მეც დავდივარ, ვმღერივარ თანაც,
აქაც და იქაც, მთაში თუ ბარად:
— შვილიშვილს ვაშა! ვადიოთ მარად
დედა, აკვანი და იავნანა.

მე მდიდარი ვარ: ამაყად ვუცქერ
აკვანზე დახრილ პირიმზეს — დედას,
ყრმის გაღიმებამ ცა გახსნა უცებ
და თვალი სულ სხვა სივრცეებს ხედავს.

ეს ღიმილი ხომ კაცთ მწუხარებას
ფრთებს აკვეცავს და ჰკურნავს იარას,
ვინ ნახოს ეს ყრმა, რომ გახარებას,
რომ ნეტარებას არ ეზიაროს?

და მეც დავდივარ, ვმღერივარ თანაც,
აქაც და იქაც, მთაში თუ ბარად:
— თაობა მოდის!.. ვადიდოთ მარად
დედა, აკვანი და იავნანა.

მე დღეს ქალაქში ვეღარ ვეტევი,
არც მესვენება. გავლა მწყურია
იქ, სადაც ნისლის ორნამენტებით
შემკული ზეცა მთას ახურია.

სად გაზაფხულით ცოცხლდება ღელე,
ხან გალობს, ჩუმად ღიღინებს ხანაც,
და ჯადოსნური ფუნჯი და ხელი
ხატავს ახოებს, სათიბს და ყანას.

დიახ, ქალაქში ვეღარ ვეტევი...
ო, ამ საოცარ შფოთს და ფორიაქს
განა არა სჯობს, თუ მოვედები
შოდას, ჭუთხაროს და საქორიას?

წავალ. იქ ახლა ყვავილთ არწევენ
სიონი. მაგრამ როგორ ვიარო...
უშენოდ?.. არა!.. რაა არწივი
ფრთამოტეხილი და ნატყვიარი.

# ახალი ლექსიკონი

ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა

შეადგინა ალ. ღლონტმა

II

ნ — ჰ

ქართული დიალექტური ლექსიკის შეგროვება-შესწავლას, მართალია, დიდი ტრადიცია აქვს, მაგრამ ქართულ დიალექტურ ლექსიკას ამ უკანასკნელი 50 წლის განმავლობაში მიექცა სათანადო ყურადღება.

დიალექტური ლექსიკის ნიმუშები შეკრებილია წიგნებში, იბეჭდება პერიოდულ პრესაში, მაგრამ ეს მაინც მცირე ნაწილია კილო-თქმათა ლექსიკის იმ მარაგისა, რომელიც ხალხშია გაბნეული.

გამომცემლობა „განათლებამ" გამოსცა პროფესორ ალექსანდრე ღლონტის მიერ შედგენილი „ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა" ორ ტომად (პირველი ტომი 1974 წელს გამოიცა, მეორე — 1975 წელს).

წინამდებარე სიტყვის კონა შექმნილია ალ. ღლონტის მრავალი წლის მუშაობის შედეგად, იგი წარმოადგენს ქართული დილექტოლოგიური ლექსიკონის შედგენის პირველ ცდას და ძირითადად დამხმარე საცნობო ხასიათისაა.

წიგნს თეორიულ მნიშვნელობასთან ერთად პრაქტიკული გამოყენებაც აქვს; იგი მკითხველს დაეხმარება ჩვენი კლასიკური ლიტერატურის ნიმუშებში დამოწმებული მრავალი კუთხური სიტყვის სწორად გაგებაში; თვალწინ წარმოგვიდგენს ქართული ენის ხალხში გაფანტულ საუნჯეს და ამით გზას გაუკაფავს სალიტერატურო ენისაკენ, მითითებულია წყაროები, საიდანაც შესაძლებელია ამა თუ იმ სიტყვის მნიშვნელობის გაცნობა.

ლექსიკონში შესულია ვაჟა-ფშაველას, ალ. ყაზბეგის, ე. ნინოშვილის, დ. კლდიაშვილის, ს. მგალობლიშვილის, თ. რაზიკაშვილის, ბაჩანასა და სხვათა ნაწარმოებებში ნახმარ კილო-თქმათა უმეტესი ნაწილი.

ალ. ღლონტს კილო-თქმებად მიჩნეული აქვს: აღმოსავლეთ საქართველოდან — გუდამაყრული, თიანური, თუშური, ინგილოური, კახური (შიგნი კახური, გარე კახური), მთიულური, ფერეიდნული, ფშაური, ქართლური, ქიზიყური, ქსნის ხეობისა, ხევსურული; დასავლეთ საქართველოდან — აჭარული (ქვემო და ზემო), გურული, იმერული (ქვემო და ზემო), ლეჩხუმური, ოკრიბული, რაჭული (ქვემო და ზემო); სამხრეთ საქართველოდან — იმერხეული, მესხური, ჯავახური.

„ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონაში" ასახულია ყველა დიალექტური (შეძლებისდაგვარად) ერთეულის ლექსიკური მასალა და იგი გარკვეულ წარმოდგენას იძლევა ეროვნული საუნჯის ამოუწურავ სიმდიდრეზე.

ლექსიკონი გათვალისწინებულია ფართო მკითხველისათვის.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# შენ აღარა ხარ...

იგი პირველად ფილარმონიის ბაღის ესტრადაზე ვნახე. ეს იყო 1936 წლის შემოდგომაზე. მაშინ სახკინმრეწვთან არსებულ სტუდიაში ვსწავლობდი, შენობის უქონლობის გამო ფილარმონიის შენობაში გვიტარებდნენ ლექციებს. ის ბაღი ახლაც წარმტაცია, მაგრამ მაშინ კიდევ უფრო მიმზიდველი მეჩვენებოდა. იქნებ იმიტომ, რომ იმ დროს იქ საინტერესო ხალხი იკრიბებოდა: გამოჩენილი მწერლები, მხატვრები, მუსიკოსები, ცნობილი ექიმები, ადვოკატები. ბაღში იყო რესტორანი, კაფე, უკრავდა ორკესტრი, უჩვენებდნენ ფილმებს, იმართებოდა კონცერტები. ლექციების შემდეგ სტუდენტები ბაღში ვრჩებოდით, ვსეირნობდით, ვსაუბრობდით, ხან ფილმს, ხან კონცერტს ვესწრებოდით. და, აი, იმ დღეს, ხალხით გაჭედილ დარბაზში, კონცერტის მეორე განყოფილებას დავესწარით.

თეთრი ხავერდის ფარდებით მორთული სცენის შუაგულში შავი როიალი იდგა, კონფერანსიემ გამოაცხადა: მსახიობი — ვასო გოძიაშვილი, როიალთან — შავერზაშვილი. იქუხა ტაშმა. სცენის თეთრი ფარდა გაიხსნა და შავ კოსტიუმში გამოწყობილი ვასო გოძიაშვილი პირდაპირ მაყურებლისკენ გამოემართა. ტაში არ ცხრებოდა, ის კი მოდის, მოდის ჩვენსკენ, მოდის ლამაზი, ელვარე თვალებით, მოდის მომღიმარი... მონუსხული შევცქერი. სუნთქვა შემეკრა.

დიდი ძალა აქვს ნიჭს — რაღაც უცნაური, უშუალო და ერთბაშად ზემოქმედი ძალა! შეიძლება სულ ერთხელ ნახო მსახიობი და სამუდამოდ დაგამახსოვრდეს.

ეს იყო 1936 წელს, ხოლო ზუსტად ათი წლის შემდეგ კოტე მარჯანიშვილის თეატრში მიმიღეს მსახიობად. ამ დროისათვის ახალბედა არ გახლდით სცენისათვის, რადგან საკმაოდ ბევრი და რთული როლი მქონდა შესრულებული რუსთაველისა და სოხუმის თეატრებში.

მარჯანიშვილის თეატრში მისვლისთანავე აქტიურად ჩამაბეს რეპერტუარში. თითქმის ყოველ სპექტაკლში ვმონაწილეობდი ან მასაში, ან ეპიზოდებში.

ომისშემდგომ წლებში ყველას და, განსაკუთრებით ახალგაზრდა მსახიობებს, გვიჭირდა. ხშირად მშივრებს გვიხდებოდა სცენაზე თამაში. წარმოდგენის შემდეგ ფეხით დავდგომივარ გზას სახლამდე და შურით გამიყოლებია თვალი ტრამვაისათვის, მაგრამ მეორე დღეს ისევ სიხარულითა და სიყვარულით მივისწრაფოდი თეატრისაკენ, რადგან იქ მელოდა დიდი თუ პატარა როლები. სხვა ბრწყინვალე მსახიობებთან ერთად იქ იყო ვასო გოძიაშვილი, რომელიც საოცარ ყურადღებასა და სითბოს იჩენდა ახალგაზრდებისადმი.

ვასოს ყოველთვის აინტერესებდა, რას ვაკეთებდით, რაზე ვფიქრობდით. ხშირად ვიკრიბებოდით მის საგრიმიოროში; გვიამბობდა ძველ სპექტაკლებზე, გვაცნობდა ძველ მსახიობთა შემოქმედებას, დიდ მწერალთა თუ მხატვართა ცხოვრებას. ჰყვებოდა სხვადასხვა ტონალობაში, სახეობრივად, არტისტულად. უბრალო მოყოლის დროსაც ზღვა ენერგიას ხარჯავდა.

ერთხელ, როდესაც მის საგრიმიოროში ვისხედით და ვსაუბრობდით: მედეა ჯაფარიძე, ნათელა აფაქიძე, ელენე ყიფშიძე და მე, ვასომ წამოიძახა: „მოდით ერთად ჩავკარტიჩკდეთ! ვითომ მე თქვენი ვასო აბაშიძე ვარ, თქვენ კი — მაკო, ნატო, ლიზა და ნუცა... მამა გვიცხონდა, აი!“

ჩვენ აღტაცებულები სიცილ-კისკისით ვასოს გარს შემოვეხვიეთ. მაინცდამაინც მორთულნი ვერ გახლდით, მაგრამ მორთულობას რაღას დაგიდევდით და მარჯანიშვილის მოედნისკენ ფოტოატელიეში გავქანდით. იქ გადაღებული ფოტოსურათი ძვირფას მოსაგონებლად შემოგვრჩა.

1946-47 წლების სეზონში ლოპე დე ვეგას „ცეკვის მასწავლებელი“ ასე განაწილდა: უფროსი ქალიშვილი ფელისიანა — ვერიკო ანჯაფარიძე, უმცროსი ქალიშვილი ფლორელა — მარინე თბილელი, ცეკვის მასწავლებელი ალდემარო — ვასო გოძიაშვილი. გახევებული ვიდექი დაფასთან და თვალს ვერ ვაშორებდი განცხადებას; შემეშინდა — ღმერთო, რას ველირსე-მეთქი.

...აი, უკვე სცენაზე ვართ.

ვასო გოძიაშვილი-ალდემარო ესპანურ სამოსში გამოწყობილი — ცეკვის მასწავლებელი წარსდგა ჩვენი ოჯახის წინაშე და მამამ ორივე ქალიშვილს გაგვაცნო იგი. ფლორელამ ჩასჩურჩულა ფელისიანას: — რა ლამაზია; ფელისიანამაც მიუგო: — ლამაზიცაა და ახოვანიც. ასე დაიწყო პირველი მოქმედება. ალდემარო ცეკვავდა, ალდემარო მღეროდა, უყვარდა ალდემაროს ფლორელა და ცდილობდა დაემონებინა მისი გული.

...სპექტაკლი დამთავრდა და ვასო ხმაურით დაბრუნდა საგრიმიოროში, რათა იქ დამშვიდებულიყო. მაგრამ ზოგჯერ გულს ვერ იოხებდა, წარმოდგენის შემდეგაც ვერ თავისუფლდებოდა განცდებისგან.

შემოდგომის ერთ თბილ საღამოს სპექტაკლის შემდეგ სესილია თაყაიშვილი და მე შინ ფეხით ვბრუნდებოდით. ფილარმონიის ბაღში დასვენება გადავწყვიტეთ და შიგ შევედით. უცებ რესტორნიდან ტაშისცემა და შეძახილები მოგვესმა. ვასო გოძიაშვილი ესტრადაზე იდგა და ორკესტრთან ერთად მღეროდა:

«И под покровом темной ночи
Любовь играет до зари,
И все расходятся тоскливо,
Когда погаснут фонари».

დაამთავრა თუ არა სიმღერა, ვიღაცამ დაიძახა: კერესელიძე ესტრადაზე, „შესანდობარი“ ვთხოვოთ! ბრავო კერესელიძე! და არჩილ კერესელიძე სცენაზე აიტაცეს. გაისმა სევდიანი მელოდია. გაფითრებულმა და ცრემლმორეულმა ვასომ უცებ სევდიანი ხმით დაიწყო: „შენ აღარა ხარ, მე ამ ჯამით გიძღვნი შენდობას...“

და ეს ყველაფერი მოხდა სპექტაკლის შემდეგ, რომელშიც იგი მთავარ როლს ასრულებდა. — ასე იწვოდა ვასო სცენაზეც და ცხოვრებაშიც.

გოგოლის დაბადების 100 წლისთავთან დაკავშირებით თეატრმა „რევიზორის“ დადგმა გადაწყვიტა. „რევიზორი“ ასეთი ანსამბლით არასოდეს წარმოდგენილა ქართულ სცენაზე და ვინ უწყის, კიდევ როდის შეიქმნება.

ხლესტაკოვი — ვასო გოძიაშვილი შემოვიდოდა სცენაზე, ყველას გადახედავდა, შეათვალიერებდა, ყველაფერს მიხვდებოდა და მდგომარეობასაც შეიფერებდა. რა თავაზიანი იყო იგი ანნა ანდრეევნას (ცეცილია წუწუნავა) მიმართ, თავს აწონებდა თავაზიანობით, ცოდნით, ვაჟკაცობით; მარია ანტონოვნასთან კი (რომელსაც მე ვანსახიერებდი) სულ გარდაიქმნებოდა: თვალები ეშმაკურად აუციმციმდებოდა, ეთამაშებოდა და ენამოჩლექით ესაუბრებოდა.

ბრწყინვალე იყო ქრთამის აღების სცენა: შემოვიდოდა გოროდნიჩი — შალვა ღამბაშიძე, მას მოჰყვებოდა პოჩტმეისტერი — გიორგი შავგულიძე, ზემლიანიკა — აკაკი კვანტალიანი, ლიაპკინ-ტიაპკინი — სანდრო ჟორჟოლიანი და, შეიძლება ითქვას, ეს იყო ნამდვილი კონცერტი დიდ მსახიობთა მონაწილეობით.

ყოველი წარმოდგენა ახალ-ახალი ფერებით, დეტალებით, ინტონაციებით ივსებოდა. ვასოს იმპროვიზირების საოცარი ნიჭი ჰქონდა და არასოდეს არ ემორჩილებოდა რეპეტიციებზე დადგენილ ნორმებს, სცენაზე ერთთავად ახალ სიტუაციებს და ილეთებს ჰქმნიდა. მართალია, ზოგჯერ აჭარბებდა კიდეც, მაგრამ ამ გადაჭარბებაშიც გამოსჭვიოდა მისი არტისტული ნიჭი. ზოგჯერ ტექსტიდანაც გადაუხვევდა, რადგან თავდავიწყებამდე ეფლობოდა მიზანსცენასა და თამაშში. ამიტომაც მისი პარტნიორობა არც ისე ადვილი გახლდათ, სულ ფხიზლად უნდა ყოფილიყავი, უნდა აყოლოდი და გაფაციცებით გედევნებინა თვალყური. შეიძლება ითქვას, რომ ყოველი როლი, რომელსაც მასთან ერთად ვთამაშობდი, აღმოჩენა იყო ჩემთვის. ვგრძნობდი, რომ ვასოსათვისაც ხელსაყრელი პარტნიორი ვიყავი, რადგან იშვიათად თუ დავიბნეოდი მის „თინებზე“. გულმოდგინე შრომით, დაკვირვებით, საქმისადმი ერთგული დამოკიდებულებით მეც ვიზრდებოდი როგორც მსახიობი და მისი ყურადღება, პატივისცემა და სიყვარული დავიმსახურე.

ყველა რეჟისორს უყვარდა ვასო გოძიაშვილთან მუშაობა, მაგრამ თვითონ განსაკუთრებულ პატივს სცემდა ვასილ ყუშიტაშვილს. როდესაც ამბობენ, მსახიობი და რეჟისორი ერთად ქმნიანო სახეს, ამის ნათელი დადასტურება გახლდათ ლუარსაბ თათქარიძე მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე.

ვისაც ამ სპექტაკლის პირველი ვარიანტი არ უნახავს, ძნელად თუ წარმოიდგენს გოძიაშვილის მიერ განსახიერებულ ლუარსაბის სახეს.

ახლაც ცხადად მახსოვს მისი და დარეჯანის (ცეცილია წუწუნავა) ბრწყინვალე დუეტი, ან ის სცენა, რომელშიც ღმერთს შვილს სთხოვს. რამდენი ფერი ჰქონდა ხმაში, რამდენი გულწრფელობა, რა ჩუმად და შეფარვით აბეზღებდა თავის ძმას, დავითს უფლის წინაშე და რა გულუბრყვილოდ ეკითხებოდა: — მე კი რა დამიშავებია, ერთ შვილს რატომ არ მაძლევო.

რეპეტიციებზე ყუშიტაშვილი ოსტატურად წარმართავდა გოძიაშვილის ტემპერამენტს, ძერწავდა სახის ყალიბს და გადახრის არავითარ საშუალებას არ აძლევდა. ასევე მუშაობდნენ ისინი „რიჩარდ მესამეზე“. რეპეტიციების დროს ყუშიტაშვილი ეუბნებოდა: „შენ გინდა ყველა უწვრილმანესი დეტალი გაითამაშო, თითოეულ მიზანსცენაში შენ მაძლევ ას ფერს, ას ნიუანსს, მე კი ერთი მინდა, ერთი მთავარი დეტალი, აზრის და მოქმედების გამომხატველი; ის ოთხმოცდაცხრამეტი კი არ მინდა, ოთხმოცდაცხრამეტი დაივიწყე!“ აი, ამრიგად ძერწავდა ყუშიტაშვილი ვასოს ლუარსაბსა და რიჩარდ მესამეს.

თვით ვასოც საინტერესო რეჟისორი გახლდათ. მახსოვს მისი გატაცებული მუშაობა პარონიანის „ძია ბაღდასარზე“; ძია ბაღდასარის თამაში თვითონ გადაწყვიტა.

გაზაფხული იდგა. სარეპეტიციო დარბაზში რომ ავიდოდით, ფანჯრებთან მერცხლები ჟღურტულებდნენ, ხან დარბაზშიც შემოფრინდებოდნენ და ჰერში ფრთქიალებდნენ-ხოლმე.

— ბატონო ვასო, კარგი ნიშანია მერცხლების შემოფრენა, ჩვენთან ერთად ხართ ბენი — ვეტყოდი ხოლმე და იწყებოდა რეპეტიცია.

ანუში ბაღდასარის დაბადების დღეს იხდის (ანუშს მე ვთამაშობდი), ართობს სტუმრებს, თვითონაც ერთობა — მღერის, ცეკვავს; აქვეა მისი საყვარელი ჯიფარი... ვასო გაფაციცებით გვადევნებს თვალს, ზოგჯერ კმაყოფილება ეხატება სახეზე, ზოგჯერ კი, როცა უხალისობას შეგვამჩნევს ან რაიმე არ გამოგვდის, ბრაზობს და გვიყვირის და თვითონ გვიჩვენებს როგორ უნდა შევასრულოთ ესა თუ ის პასაჟი; თვითონ ვირტუოზულად ასრულებს. თუ გავიმეორეთ და შევასრულეთ მისი რჩევა, ხომ კარგი, თუ არადა, ისეთ განგაშს ასტეხს, ძლივს ვამშვიდებთ. ვაიმედებთ, რომ თანდათან ყველაფერი გამოგვივა. ის კი არ ისვენებს, ხელახლა გვაჩვენებს და გვამეორებინებს: — აბა, მიდი, გააკეთე ეს! ხომ ხარ მსახიობი? ჰოდა, გაა-



ვასო გოძიაშვილი 1948 წ.



სურათზე (მარცხნიდან) მ. ჯაფარიძე, ნ. აფაქიძე, ვ. გოძიაშვილი, მ. თბილელი და ე. უიფშიძე.



ვასო გოძიაშვილი და მხატვარი ვახტანგ ჯაფარიძე.

ი. ტრიპოლსკის საიუბილეო საღამოზე.





სასტუმრო „აჭარა".

ა ნ ა ტ ო ლ ი  რ უ ხ ა ძ ი ს  ფოტო.

ელექტრონული ბიბლიოთეკა

კეთე... სანამ თავისას არ მიაღწევდა, არ მოგვეშვებოდა.

რეჟისორულმა მუშაობამ ძალზე გაიტაცა ვასო, ბალდასარის სახესაც შესანიშნავად ავითარებდა, მაგრამ გაუჭირდა ორივე საქმის ერთდროულად შესრულება, იღლებოდა და გადაწყვიტა ძია ბალდასარის როლი კაკო კვანტალიანისათვის მიეცა.

უნდა გენახათ, როგორ მუშაობდა ეს ორი ბრწყინვალე მსახიობი. კაკო თითქოს დამწყები მსახიობი იყო, გულისყურით უსმენდა ვასოს. დროდადრო ეკითხებოდა: აბა, რას მეტყვი, რას მირჩევო.

ვასო გოძიაშვილის მორიგი დადგმა „ძველი ვოდევილები" გახლდათ.

...ულერდა მუსიკა, განათდებოდა სცენა და გამოდიოდა ვასო გოძიაშვილი — მოხუცი მსახიობი, ხავერდის სურთუკში, ყელზე დიდი თეთრი ბაფთით, მას ხელში პატარა ზარი ეჭირა; ააწკრიალებდა ზარს და ყველას აუწყებდა წარმოდგენის დაწყებას.

პირველი ვოდევილი იყო ავქსენტი ცაგარელის „ოინბაზი", რომელშიც ვასო გოძიაშვილი ტიგრან ოპოპიანცს ანსახიერებდა. ვასო კულისებში გავიდოდა, სწრაფად გადაიცვამდა კუბოკრულ კოსტიუმს, თავზე შავხუჭუჭა პარიკს მოირგებდა, შავ გაწკეპილ ულვაშებს დაიკრავდა, შლიაპას დაიხურავდა და მოკლე „ტროსტს" მოიმარჯვებდა. გაისმოდა რუმბას ტაქტი და ვასო გოძიაშვილი რიტმული მოძრაობით, ცეკვითა და სხვადასხვა ილეთით გამოდიოდა სცენაზე; მაყურებელი ტაშით ხვდებოდა.

მეორე ვოდევილი — აკაკი წერეთლის „ბუტიაობა", ისევ მოხუცი მსახიობის გამოსვლით, ზარის წკრიალით, ვოდევილის შინაარსის გადმოცემით და მცირე-ლექსით იწყებოდა. ამ ვოდევილში ვასო არ მონაწილეობდა, საგრიმიოროში იჯდა, ჩართული ჰქონდა რადიო და უსმენდა, როგორ თამაშობდნენ მსახიობები, როგორ რეაგირებდა მაყურებელი. იგი ისვენებდა და მესამე ვოდევილისათვის ემზადებოდა.

მესამე ვოდევილიც მოხუცი მსახიობის გამოსვლით იწყებოდა. მოხუცი მსახიობი ვასომ იმისთვის შემოიყვანა და ლექსებიც იმისთვის წაუმძღვარა სხვადსხვა ვოდევილს, რომ სანახაობას ურთიერთდამაკავშირებელი, ერთიანი სახე ჰქონოდა. მოხუცი მსახიობი აცნობდა მაყურებელს, როგორ თამაშობდნენ ჩვენი წინაპრები, რა გაჭირვებით და წვალებით მოიტანეს დღემდე ქართული თეატრი, როგორ დახეტიალობდნენ და როგორ ინახავდნენ ქართულ ენას... ისევ ზარის ხმა... იწყებოდა ბახუტაშვილის „ძველ სასამართლოში".

ამ ვოდევილში ვასო გოძიაშვილი ძველი თბილისის მედუქნეს, არშაკას ანსახიერებდა, ხოლო მე, ჭორიკანა და გაუთლელი სოფლელი დედაკაცის, კეკელა ხუხლიაშვილის როლს ვთამაშობდი.

მთელ ამ ვოდევილს, სპექტაკლიდან სპექტაკლამდე, იმპროვიზირებით ვატარებდით და თამამად შეიძლება ითქვას, რომ მხოლოდ ვასოს ეფექტურობა და ბრწყინვალება ანიჭებდა სპექტაკლს მომხიბვლელობას. მაგალითად, ერთ-ერთ მიზანსცენაში, როდესაც მე (კეკელა) ენად გავიკრიფები, ვლაქლაქებ და ვლაქლაქებ უაზროდ და დაუსრულებლად, ხოლო ვასომ ჭიქა წყალი უნდა მიაწოდოს ჩემი საქციელით ლონემიხდილ, სასოწარკვეთილებამდე მისულ მოსამართლეს, უცებ შევამჩნიე, რომ ვასო მოსამართლეს კი არ აწვდის ჭიქას, არამედ ზურგს უკან მალავს და ჩემსკენ მოემართება: — ქალო, აღარ იტყვი რასაც გეკითხებიან, ჰა? აღარ იტყვი რა გინდა, ჰა?! — მიყვირის იგი და მოულოდნელად სახეში წყალს მასხამს: ახლაც არ გამოერთვები, ახლაც არ მოხვალ ჭკუაზეო. მე წამოვიკივლე და გავქვავდი. სიცილი ძლივს შევიკავე. ვასომ ზურგი შემაქცია და მოჰყვა სიცილს. დარბაზში კი ატყდა ხარხარი და ტაში. კულისებში რომ ვბრუნდებოდით, ვასომ აღტაცებით მკითხა: კარგი იყო, არა?!

უხაროდა, როცა რაიმე ახალს გამოიგონებდა სცენაზე და გაუმართლდებოდა.

მეორე წარმოდგენაზე „წყლის შესხმა" დატოვა და ჩემგან მოელოდა რომ გავხევდებოდი. მე (კეკელა) წამით კი გავხევდი, მაგრამ მაშინვე განვაგრძე ლაქლაქი და კივილს მოვყევი; ვასომ გაოცებით შემომხედა, კიდევ უფრო დაჭყიტა თვალები და ტაშითა და შეძახილით რიტმულად აჰყვა ჩემს ლაქლაქს. რიტმული ტაში და გამოჯავრება გავიგონე თუ არა, ერთი-ორჯერ შევხტი და ცეკვა დავიწყე. ვასო მიხვდა, რასაც ვაკეთებდი და მცირე ხანს ხელი შემიწყო ტაშისცემით. ტაშისცემა რომ შეწყვიტა, მაინც არ გავჩერდი, სანამ სხვებმა არ გამაკავეს. ვასომ წამოიყვირა: — ვაჰ, ეს ვინა ყოფილა, კაცო! და კმაყოფილი, მომღიმარი თვალებით შემომხედა; კარგი იყოო, — მანიშნებდა.

ბრწყინვალე იყო ვასო სცენაზე; ხელი უნდა შეგეწყო მისთვის, აუცილებლად უნდა აჰყოლოდი და ისიც ყველაფერს მიგიხვდებოდა, ყველაფერში აგყვებოდა.

მესამე ვოდევილის დამთავრებისას ვასო გოძიაშვილი ხელახლა მოხუცი მსახიობის სამოსში იყო. ერთ ხელში ფუთა ეჭირა, მეორეში — მბჟუტავი ფარანი და სევდიანად აჟღერებული მელოდიის რიტმზე მაყურებელს ემშვიდობებოდა:

„მერე რა, რომ წლები გავიდნენ,
ბზარი გამიჩნდა ხმაში,
ჩემო კედლებო, ისევ მიყვარხართ,
როგორც მიყვარდით მაშინ".

უცებ მუსიკა მაჟორულ ხმაზე გადადიოდა და სამივე ვოდევილის მონაწილენი — მარცხენა და მარჯვენა მხრიდან სცენაზე გამოვდიოდით, შუაში ვასოს ჩავიყენებდით და ვმღეროდით. პარტერში ტაში გრიალებდა.

* * *

და, აი, ვასო გოძიაშვილი ავად გახდა. ყველანი ვგრძნობდით, რომ ხელიდან გვეცლებოდა უდიდესი მსახიობი, ისიც ვიცოდით, თუ რა მწვავე დანაკლისი იქნებოდა ეს ქართული თეატრისათვის. რამდენ რამეზე ოცნებობდა, კიდევ რამდენის გაკეთება შეეძლო...

ერთ დღეს მარჯანიშვილის თეატრის დირექტორმა, ვახტანგ ჯახუტაშვილმა დამირეკა: — მარინე, წუხელ საოცარი რამ მოხდა თეატრში. შუაღამისას დიდ ფოიეში ვასოს სურათი — ლუარსაბის როლში ჩამოვარდნილა. არავინ ყოფილა იქ, ხელი არავის უხლია. თავისთავად ჩამოვარდნილა, გაოცებულებმა დაკიდეს კედელზე. მცირე ხანი არ გასულა და, ახლა მეორე სურათი ჩამოვარდნილა.

იმ ღამეს ვასო უკანასკნელ წუთებში იყო... თეატრის კედლებმა თითქოს იგრძნეს მათი ერთგული შვილის ტანჯვა-წამება. იქნებ დიდ მსახიობს აგონიაში ეზმანებოდა თეატრი, იქნებ აგონიაში ისევ მღეროდა: ჩემო კედლებო, მაინც მიყვარხართო.

სასახლეში ჩასვენებულ ვასოს თავქვეშ „მოხუცი მსახიობის" ფუთა ამოუდეს... მიცვალებულიც ლამაზი იყო.

მარჯანიშვილის თეატრში სიყვარულითა და მოწიწებით შეინახეს ის კოსტიუმები, რომლებშიც იგი თამაშობდა; მის საგრიმიორო ოთახში სარკიან მაგიდას წააწერეს „ვასო გოძიაშვილის მაგიდა".

მის ხსოვნას სამუდამოდ შეინახავს ქართული თეატრალური ხელოვნება, ხოლო მე ბედნიერი ვარ, რომ კ. მარჯანიშვილის თეატრის უნიჭიერეს კოლექტივში მომიხდა მუშაობა და ვიყავი ჩვენი დროის ბრწყინვალე მსახიობის — ვასო გოძიაშვილის პარტნიორი.

**მარინე თბილელი,**
რესპუბლიკის სახალხო არტისტი

## ძველი პრესის ფურცლებიდან

ერთი ინგლისელი ექიმი საშინელ ავდარში მდინარე ტემზის ნაპირთან მივიდა და მეთევზეს უთხრა:

— შეგიძლიათ უხიფათოდ გადამიყვანოთ გრინვიჩს?

— რატომაც არა.

— მაგრამ, საერთოდ მეთევზენი მეტად დიდს ფულს გვახდევინებთ — აბაზს თითო კაცის გადაყვანაზე.

— ნება მიბოძეთ მოგახსენოთ, ბ-ნო მკურნალო, რომ ჩვენ მეტად ნაკლებს ვიღებთ მკურნალებთან შედარებით, რომელნიც არავის არ გადიყვანენ ამ ქვეყნიდან საიქიოს, თუ თუმნიანები არ გადაახდევინესო.

☐

სახელმწიფო საბჭოს ერთმა ახალგაზრდა მოხელემ ტალეირანი ინახულა და უთხრა თავისი გულწრფელობისა და გულახდილობის ამბავი.

— ჯერ კიდევ ყმაწვილი ხართ, — უთხრა ტალეირანმა, — იცოდეთ მჭევრმეტყველების ნიჭი იმიტომ აქვს ადამიანს მიმადლებული, რომ თავისი აზრი დაჰმალოს, და ნიღაბ-აფარებით გამოსთქვას რაც სათქმელი აქვსო.

☐

რა მნიშვნელობა ჰქონდა ბისმარკის სიცოცხლეში რიცხვს „სამს" ამის შესახებ ერთი გერმანული გაზეთი იუწყებოდა: ბისმარკს ძლიერ უყვარს რიცხვი „სამი", რადგან დიდი ადგილი უჭირავს მის ცხოვრებაში. ბისმარკი სამ იმპერატორს ემსახურებოდა, სამ ომში ყოფილა, სამ მშვიდობიანობის ხელშეკრულებაზე ხელი მოუწერია. სამი იმპერატორი სკვერნევიცში ერთმანეთს შეახვედრა და სამთა კავშირი შეადგინა; ომში სამი ცხენი მოუკლეს, იმის გვარეულობის ღერბს სამყურა ბალახი შეადგენს, რაც კი კარიკატურები ყოფილა დახატული ბისმარკის დასაცინად, ყველგან მარტო სამი თმით ხატავდნენ. დასასრულს ბისმარკს სწორედ სამი შვილი ჰყავს: ჰერბერტი, ვილჰელმი და მარია.

☐

ერთხელ ბისმარკი თავის უფროსთან მივიდა და მთელი საათი იცადა. ლოდინით დაღლილ ბისმარკს როდესაც შეეკითხნენ რა გნებავთო, წყრომით უპასუხა:

— აქამდის სალაპარაკო მქონდა და ახლა კი გთხოვთ დამითხოვოთო.

☐

ერთხელ გამოჩენილი ინგლისელი კომიკი მსახიობი ტოლი შევიდა სასადილოში სასაუზმოდ, მაგრამ არცერთი ადგილი არ იყო თავისუფალი. ძალიან კი შიოდა. რა ვქნა, უნდა ვიღონო რამეო.

— ჰეი, შენ!

— რას მიბრძანებთ, ბატონო? — უთხრა ლაქიამ.

— რასა და აიღე ერთი კერძი შემწვარი ხოხობი და ჩემს ცხენს გაუტანე.

— იმე, რას ბრძანებთ? ცხენი რავა შესჭამს შემწვარ ხოხობს!

— წაიღე-მეთქი, რო გეუბნები, ალბათ სჭამს, ჩემი ცხენი სხვანაირად მყავს გაწვრთნილი.

— ახლავე, ბატონო!

ლაქიამ დადო თეფშზე საუცხოო კერძი, შემწვარი ხოხბისა და გავიდა გარეთ.

ხალხმა იგრიალა და გარეთ გაცვივდა საყურებლად, შესჭამდა თუ არა ცხენი ხოხობს. კომიკსაც სწორედ ეს უნდოდა, რაკი ადგილი დაიცალა, ამოირჩია საუკეთესო ადგილი და დაჯდა.

ლაქია დაბრუნდა.

— არა სჭამა, ბატონო, რა ვქნა?

— არა სჭამა და აქ მომიტანე, — მე შევჭამ, — უთხრა ტოლმა.

**ზურაბ ლორთქიფანიძე**

## უეცარი სურვილი

ველარ გიძლებ წყეულო
ეშხთა მიბნედილობავ.
სულში ჩამოქცეულო
მივალ, მიმეტირება.
მოთმინების მარაგი,
მიქეც მეხის ბინადა;
ნეტავ ჭკუა დავკარგო,
ნეტავ გადამრია და...
ყვავილების აფრები,
მთების თეთრი ტახტები,
ანგელოზ დასაფრენი,
ანგელოზს ვერ დავხვდები?
ჟინი, ჟამთა ავ-კარგო,
მივლის იმნაირადა;
ნეტავ ჭკუა დავკარგო,
ნეტავ გადამრია და...
გულს მწყვეტს თოვლის ფიფქები,
გაზაფხულის სისხარტე.
ვით დაგტოვო ფიქრებო,
სიზმრებო და სიცხადევ.
უმძაფრესო ალაგო,
განშორების წინადა;
ნეტავ ჭკუა დავკარგო,
ნეტავ გადამრია და...

## ღამის მელანი

ვარსკვლავნი
წითელ კალამს უწებენ
ღამის მელანში
დაბეჯითებით.
გაჩნდა ნაწერი
ზეცის ფურცლებზე
ცა იფურცლება
ღმერთის თითებით.
ვარსკვლავნი სწერენ
მიწის რომანებს,
რომლებიც მუდამ
ქარიშხლებს შობდნენ,
და დედამიწას
ღამით მოპარეს
განთიადამდე
წამებით შფოთვა.
ორი ფურცელი
ვრცელ სამყაროსი,
ჯერ არ თარგმნილი
არცერთ ენაზე,
მიგვითითებენ
ხელის ერთი მოსმით
საბედისწერო
გადარჩენაზე.
სიზმარში ორთავ
გვერდი-გვერდ მეწვა,
გრძნეულ ბეჭედად
მზის აჩნდათ თარჯი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ერთი ძველი ნარკვევიდან

მეცხრამეტე-მეოცე საუკუნეების მიჯნაზე თბილისში გამომავალი ფრანგული ჟურნალის „ლე კაუკაზ ილუსტრეს“ 1891 წლის მეცხრე ნომერში ყურადღებას იპყრობს ნაწარმოები „სამი შეხვედრა“ რომელსაც ლეონარდ ბალბაშევსკი აწერს ხელს, სათაურის ქვეშ ვკითხულობთ: „სიმონ ბოლქვაძის ნაამბობი თავად ლევან დადიანზე“. მოთხრობა საინტერესო მასალას იძლევა ბატონყმობის დროინდელი საქართველოს სოციალური ვითარების დასახასიათებლად. აი, მისი ქართული თარგმანი:



1837 წლის შემოდგომის ერთ მშვენიერ საღამოს სამეგრელოს მთავარი ლევან დადიანი და ბარონი როზენი ხელიხელგაყრილნი მისეირნობდნენ ზუგდიდის სასახლის მოედანზე და კავკასიაში რუსეთის იმპერატორის მომავალ ვიზიტზე საუბრობდნენ. თავადსა და ბარონს გარს შემორტყმოდა ფერად-ფერად, მდიდრულ, მოოქროვილ სამოსში გამოწყობილი იმერელ და მეგრელ დიდებულთა ამალა. სიჩუმეს მხოლოდ სუფრას შემორჩენილთა შორეული მრავალჟამიერი არღვევდა.

უეცრად ბრბოს თითქმის შიშველი, ფერმიხდილი, აცახცახებული მეგრელი გლეხი გამოეყო და ფეხებში ჩაუვარდა ბარონ როზენს.

— უნდა მიშველო რამე, ბატონო ჩემო, — ვედრებით შეჰღაღადა, — მიჭირს ძალიან!

— რა გინდა?! შეცბა ბარონი.

— დახმარება, მფარველობა, ბატონო, თორემ აქვე თავს მოვიკლავ, თქვენს თვალწინ, ჩემი ბატონის თვალწინ, ამდენი ხალხის წინაშე! გაიგოს ყველამ, არ არის სამართალი სამეგრელოში!

— რა ამბავია შენს თავს?

— შვილები მომტაცეს და დამიყიდეს, ცოლი გამექცა, სახლი გამიძარცვეს!

— რა გქვია?

— უჩარდია კუპრავა.

— ვინ მოგტაცა შვილები?!

— გოგი ჯოლიამ!

— სად წაიყვანა?

— ერთი ალექსანდრე დადიანს მიჰყიდა, მეორე გუგუნავას, მესამე...

— რა ამბავია, რამდენი გყავს?!

— ოთხი, ოთხივე გამიყიდეს! ჩემი ცოლი, შიშით, იმავე იგივე დღე არ დამადგესო, მშობლებთან გადაიმალა!

გლეხს ჯერ სიტყვა არ დაემთავრებინა, რომ ლევანმა, რომელმაც ამ ამბისა არაფერი იცოდა, მსაჯულთუხუცესს ნიკოლოზ დადიანს ანიშნა, მომიახლოვდიო.

— ეს გლეხი წაიყვანე, კარგად აჭამე და ბავშვები დაუბრუნე, იმპერატორი რომ წაბრძანდება, მომახსენებ, როგორ აღსრულდება ჩემი ნაბრძანები! — უთხრა ამ ამბით გუნებაამღვრეულმა ლევანმა და როზენთან საუბარი განაახლა. მალე ამალის წევრები ცხენებს მოახტნენ, რომ მთავარი იმპერატორთან შესახვედრად ანაკლიამდე გაეცილებინათ. კუპრავა კი აზნაურებს შერჩა ხელში და საწყალს მაშინვე დილეგში უკრეს თავი.

მეორე დილით საპატიმროს ზედამხედველმა ზუგდიდში დარჩენილ სასახლის მოურავს ჰკითხა, რა ვუყოთ პატიმარსო.

— სულიც გაუცხია საკანში! მაგ არამზადას იქნება იმპერატორთან ჩივილიც უდევს გუნებაში?! — მიუგო მოურავმა.

გავიდა სამი კვირა. იმპერატორმა მოიარა ზუგდიდი, ყველა მოხიბლა კეთილშობილებითა და გულითადობით. ხალხი განსაკუთრებით მისმა ახოვნებამ განაცვიფრა. იმპერატორი ხალისიანად და თავაზიანად იქცეოდა. სამთავროს დედოფალი წმინდა ეკატერინეს ორდენით შეამკო და შემდეგ, რაკი სამეგრელოს ცუდ გზებზე შეუძლებელი იყო კარეტით მგზავრობა, ცხენდაცხენ გასწია ბუპბუას ხიდისაკენ.

ხელმწიფე რომ თავის საზღვრებსგარეთ დაიგულა, მშვენიერ გუნებაზე მობრუნდა სასახლეში ლევანი და უცებ, კუპრავა მოაგონდა:

— რა უყვეს იმ საწყალ გლეხს?. — იკითხა მან.

— საპატიმროშია! — მიუგო ერთმა აზნაურთაგანმა.

— როგორ თუ საპატიმროშია, ვინ გაბედა მისი დამწყვდევა, აქ მომგვარეთ კუპრავა!

მოუყვანეს. ლევანმა მას ტანსაცმელი უბოძა, ნუგეში სცა და ნიკოლოზ დადიანს ბრძანება დაუწერა, ყველაფერი შეესრულებინა, რასაც ეს უბედური მოითხოვდა. ორი დღის შემდეგ წარადგინა წერილი კუპრავამ. ბრძანება ნათელი იყო, დაუმორჩილებლობა არ იქნებოდა. მსაჯულთუხუცესმა თავის მხრივ ბატონიშვილ ვამეხს უბრძანა გლეხის მოთხოვნის დაკმაყოფილება, მაგრამ ვამეხს თავი არ შეუწუხებია. კუპრავამ მასთან ვერაფერი გააწყო.

გავიდა თვეები. დადგა აღდგომის დღესასწაული. იმერელი, გურული, მეგრელი მხედრები და მომღერლები,

# ჭადრაკის მოყვარულთათვის

(საინტერესო ციფრები და ფაქტები)

⊙ პირველი საჭადრაკო ოლიმპიადა 1927 წელს გაიმართა. ამავე წელს საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციამ შემოიღო ქალთა შორის მსოფლიო ჩემპიონატის მატჩის გათამაშება.

⊙ მსოფლიო ჩემპიონს ჭადრაკში ალექსანდრე ალიოხინს ახსოვდა სხვა დასხვა დიდოსტატების მიერ საერთაშორისო ტურნირებში 40 წლის მანძილზე ნათამაშები თითქმის ყველა პარტია

⊙ ჭადრაკის ხანგრძლივი თამაშის რეკორდი დაამყარა ამერიკის შეერთებული შტატების ერთ-ერთი კოლეჯის სტუდენტმა ჯონ ანდერსენმა. იგი 81 საათი თამაშობდა ჭადრაკს და სხვადასხვა მოთამაშეებთან ჩატარებული პარტიების 90 პროცენტი მოიგო.

⊙ ქალთა შორის მსოფლიო ჩემპიონის ტიტული პირველად მოიხვეჭა ჩეხმა ქალმა ვერა მენჩიკმა (1909-1944 წწ). მას შვიდჯერ მოუხდა ამ საპატიო ტიტულის დაცვა.

⊙ მეფე ივანე მრისხანე გარდაიცვალა ჭადრაკის თამაშის დროს.

⊙ ვ. კაპაბლანკა (1888-1942 წწ) ოთხი წლით ადრე დაიბადა ალიოხინზე (1892-1946 წწ.) და ოთხი წლით ადრე გარდაიცვალა.

ფიქრად მადნობდა
მიწა და ზეცა
ჩასმული ძვირფას
წითელ-შავ ყდაში.

## რითმები ჭადრების ხეივანში

არსებობს ჩემთვის
წამზე პატარა დრო,
ეს დრო დამითმე.
რაღაცას სული უნდა მივანდო,
შენთან გამრითმე.
ღმერთმა ჩემს რითმად
ჩამოგატაროს,
შევდგეთ ჩრდილში ჭადრის.
და მე იმ წამზე პატარა დროს
ყველაზე კარგ დროდ ჩავთვლი.

## სიტყვა ვაჟკაცისა

შენ, შენს დღეებს იცოხნი?
სულს სხვა არ გეხორცება!
ეს არ არის სიცოცხლე?
ეს არ არის ცხოვრება!
მიყვარს განწირულისა,
რომ გალავნად კლდე უვლის;
მიმოლეწვა სულისა,
მიმოლეწა სხეულის.
არ დრკებოდეს ქროლვითა,
მთლად ჩაუქრეს სამყაროც.
გაუჭირდეს? გულიდან
მზე ,თვით აღვარ-დაღვაროს.
გზა ' კლდეებზე მიჰყავდეს
სჭირდეს ყოველ ჩავლაზე;
პირფერობას, სიყალბეს, —
ერის საფლავს ამაზრზენს.
თვალით ჰყრიდეს ნაღვერდლებს
და მწვერვალებს, მინდვრებს, მთებს
მიარღვევ-მოარღვევდეს,
გადაძვალტყავიანდეს.
გადაისივრციანოს
ირგვლივეთის ჩონჩხეთი.
იგრიალ-იჟრიალოს
მისწვდეს მისებრ მოხეთქილს,
ელვებრ მიი-მოირხეს,
გვერდით ტრფობა მოისვას,
მკხებრ მიი-მოამსხვრეს,
სულს არხევდეს ისას.
წარსდგეს ამაყ მიხვლით,
უკანასკნელ სადგურთან.
პირწმინდობა — სიკვდილთან
მეტად უფრო სად უნდა.
სხვა რაა და რა გზაა!
სხვა რაა და რა წვაა!
ეს სიცოცხლე სხვა რაა!
ეს ცხოვრება სხვა რაა!

ჩუბინები, ბაზიერები, მარჯვე და მუხლმაგარი მონადირეები, ლევანის ხშირი და სასურველი სტუმრები სასახლეში შეიკრიბნენ. ყველა მაღალი სასულიერო პირი ესწრებოდა ზეიმს. როცა ლევანი მთავარეპისკოპოსისა და წარჩინებულთა თანხლებით სასახლიდან გამოვიდა, რათა წესისამებრ მილოცვები მოესმინა, იმ ადგილას, სადაც ექვსი თვის წინათ ბარონ როზენის წინაშე ასე უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა, ხელახლა გამოეცხადა ისევ ის გლეხი, შვილებს რომ ეძებდა. ჯერაც არა მყავანან შინ ჩემი ბავშვებიო, შესჩივლა კუპრავამ.

ამის გამგონე ლევანი ბრაზით წამოჭარხლდა, მოტრიალდა და ამალაში ვიღაცას დაუწყო ძებნა. ნიკოლოზ დადიანი არ იყო იქ. მაშინ ხელი მოკიდა გლეხს და მარტვილის მთავარეპისკოპოსს წარუდგინა:

— მამაო, — უთხრა მან, — უნდა შემოგავედრო ეს ბედშავი. ბატონიშვილ ნიკოლოზს ვუბრძანე დაებრუნებინა მისთვის შვილები, მაგრამ ხელი არ გაუნძრევია. ვინძლო იზრუნოთ, რათა ჩემი ბრძანება აღსრულდეს!

გადიოდა დღეები, მაგრამ ვამეხი, რომელმაც განმეორებით მიიღო ბრძანება, დამორჩილებას არ აპირებდა.

ზაფხულში ლევანი ლეჩხუმის მთებისაკენ გაემართა დასასვენებლად. გზად სენაკში შეჩერდა. კარგ გუნებაზე იყო. აივანზე ერთ იმერელ თავადთან ნარდის თამაშით ერთობოდა. პარტია საინტერესო გამოდგა, ლევანს კარგად მისდიოდა საქმე. ბედნიერ ხელზე გააგორა კამათელი, მოიგო, მაშინვე წამოდგა და გამარჯვებულის ღიმილით მოავლო თვალი მხლებელ აზნაურებს. უცებ გარშემო მყოფთა შორის ისევ ის გლეხი შენიშნა, კვლავ მარტოხელა, ბავშვების გარეშე.

მის დანახვაზე გულს შემოეყარა ლევანს, სიტყვა არ დაუძრავს, წარბი შეიკრა, რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და იმ კუთხეში შეჩერდა, რომელიც ყველაზე ახლოს იყო ეზოს ჭიშკართან. ცოტა ხნის შემდეგ ჭიშკარში ურჩი ვამეხ დადიანი შემოჯირითდა; ჩამოქვეითდა, ცხენი იქვე მიაბა და კიბეებს აუყვა. დაადგა თუ არა თვალი ლევანმა, გაქანდა მისკენ და ის იყო ზედ უნდა მივარდნოდა ნამუსგარეცხილ ქვეშევრდომს, რომ იგი მოხერხებულად დაუძვრა ხელიდან, აივნიდან ეზოში ისკუპა და სიმინდებში გაუჩინარდა.

— დაიჭირეთ! — იყვირა ლევანმა, მაგრამ ვიდრე მსახურები გამოუდგებოდნენ, ვამეხმა მახლობელ ტყეს შეაფარა თავი. ხელმოცარულმა ლევანმა რაკი აღარ იცოდა ვიზე ეყარა ჯავრი, ბრძანა ვამეხის უდანაშაულო ცხენი ეცემათ და მანამდე ურტყეს საწყალ პირუტყვს, სანამ სული არ გააცხებინეს.

— კუპრავას რაღა მოუვიდა? — ვკითხე მოხუც ბოლქვაძეს.

— ის საბრალო ბრიყვი დღესაც პასუხს ელოდება! — მიპასუხა მან გოეთეს ცნობილი ლექსის სტრიქონით.[1]

●

დავინტერესდით, ვინ იყო ამ მოგონების ავტორი სიმონ ბოლქვაძე, რომელსაც ყოველგვარი ტიტულისა და წოდების გარეშე იხსენიებს ფრანგული ჟურნალი. მის შესახებ ცნობები მოგვაწოდა მისმა შვილიშვილის შვილმა, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის დირექტორის მოადგილემ სიმონ სპირიდონის-ძე ბოლქვაძემ. ეპიტაფია, რომელიც მისი წინაპრის საფლავის ქვაზეა ამოკვეთილი ხობის მონასტრის გალავანში, არკვევს ფრანგულ ჟურნალში დაბეჭდილი მოგონების ავტორის ვინაობას. ეპიტაფიის ტექსტი შეუთხზავს ცნობილ პუბლიცისტს იონა მეუნარგიას, რომელსაც ცოლად ჰყავდა სიმონ ბოლქვაძის შვილიშვილი ნინო ჯორჯიკია.

საფლავის წარწერა დარბაისლური ქართულით ვაუწყებს:

სიმონ დავითის-ძე ბოლქვაძე
1814-1896 წ.წ.

ქობულეთიდან მომგვარა სამეგრელოს და მიმირქვა წმინდის ემბაზიდამ მთავარმან ლევან გრიგოლის ძე დადიანმა 1829 წელს. მას ვახლდი მთელი მისი სიცოცხლე, ვითარცა პირველი მისი მონადირე და მან ალმავსო ყოვლისა პატივითა და ქონებითა მყო რა პატრონი აზნაურის გიორგი საჯაიას მამულისა სოფელ ჯალრას. ამიერ სოფლიდამ განველ სოფ. ნოჯიხევს საყვარელის ჩემის ასულის სალომე ჯორჯიკიას სახლში. ღმერთო დაიცევ ოჯახი ჩემი და ბედნიერ ჰყავ შთამომავლობა ჩემი".

მოგონების ჩამწერი კი უნდა იყოს რუსული ტექნიკური საზოგადოების კავკასიის განყოფილების მდივანი ლეონარდ ივანეს ძე ბალბაშევსკი, რომელიც ამ თანამდებობაზე მუშაობდა თბილისში ხსენებული საზოგადოების დაარსებიდანვე — 1868 წლიდან.

სიმონ ბოლქვაძეს ბალბაშევსკი უნდა შეხვედროდა სამეგრელოს უკანასკნელი მთავრის, დავითის მემკვიდრესთან — ნიკო დადიანთან, ზუგდიდის ან გორდის სასახლეში, სადაც სიმონი ხშირი და სასურველი სტუმარი იყო, როგორც ნიკოს პაპის, სამეგრელოს მთავრის ლევანის ნათლული და სასახლის კარზე მომხდარი ძველი ამბების მომსწრე და მცოდნე.

გადმოცემის მიხედვით სიმონი იყო უამრავი ძველი ამბისა და ლექსის მცოდნე, ვეფხისტყაოსნის მთელი თავების ზეპირად მთქმელი. მისი მეტად ცოცხალი, ხალისიანი თხრობა, აღსავსე გონებამახვილობითა და იუმორით, მსმენელთა დიდ ინტერესს იწვევდა. ალბათ ამის გამო მეგობრობდა მასთან მაშინდელი ზუგდიდის ოლქის უფროსი პოეტი რაფიელ ერისთავი.

როგორც ჩანს, სიმონის ერთ-ერთი ნაამბობი ლ. ბალბაშევსკისაც მოსწონებია და მისი ფიქსაციაც მოუხდენია.

მრავალრიცხოვანი შთამომავლობა დარჩა სიმონ ბოლქვაძეს. მათ შორის არიან ჩვენი კულტურის გამოჩენილი მოღვაწენი: პედაგოგი და მწერალი ჯაჯუ ჯორჯიკია, ქართველ კინომსახიობთა პირველი თაობის წარმომადგენელი თამარ ბოლქვაძე, ქართული საბჭოთა კინემატოგრაფიის ერთ-ერთი ფუძემდებელი რეჟისორი ნიკოლოზ შენგელაია, ქართული მულტიპლიკაციის პიონერი რეჟისორი ვლადიმერ მუჯირი, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი სალომე ყანჩელი, კინორეჟისორები ელდარ და გიორგი შენგელაიები, სპორტის ოსტატი ნოდარ ჯორჯიკია და სხვა მრავალნი, რომელნიც დღეს ახალ, ბედნიერ ცხოვრებას ქმნიან, ძირფესვიანად განსხვავებულს იმ ყოფისაგან, რომლის ერთ-ერთი ეპიზოდი მათი წინაპრის საინტერესო მოგონებამ შემოგვინახა.

**ლევან ბრეგაძე**

[1] აქ, როგორც ჩანს იგულისხმება არა გოეთეს, არამედ ჰ. ჰაინეს ცნობილი ლექსის „შეკითხვების" ბოლო სტრიქონი.

⊙ მსოფლიოს პირველობისათვის გამართულ მატჩებში ყველაზე მეტი პარტია ითამაშეს ბოტვინიკმა (157), ალიოხინმა (140), ხტეინიცმა (115), ლასკერმა (112).

⊙ ერთადერთი შემთხვევა, როცა დიდოსტატი ტურნირის დროს გარდაიცვალა, მოხდა 1968 წელს კისლოვოდსკში; საერთაშორისო ტურნირის დროს გარდაიცვალა ვ. სიმაგინი.

⊙ პირველი საერთაშორისო ტურნირი მოეწყო ლონდონში 1851 წელს. ამ ტურნირში პირველი ადგილი დაიკავა მათემატიკის მასწავლებელმა გერმანელმა ადოლფ ანდერსენმა.

⊙ კიევის რუსეთში ჭადრაკი დიდი პოპულარობით სარგებლობდა ჯერ კიდევ XI საუკუნეში. ამას ადასტურებს მრავალი არქეოლოგიური გათხრებიც.

⊙ საქართველოში ჭადრაკი პირველად მოხსენიებულია ბასილ დიდის თხზულებაში „ექუსთა დღეთა", რომელიც გიორგი ათონელმა ბერძნულიდან თარგმნა XI საუკუნეში.

სხვადასხვა წყაროებიდან ირკვევა, რომ საქართველოში ჭადრაკი ძველთაგანვე საკმაოდ გავრცელებული და საყვარელი თამაში ყოფილა.

⊙ საჭადრაკო ოსტატის სახელი და საერთაშორისო ოსტატის საპატიო წოდება ქართველ მოჭადრაკეებიდან პირველად ვიქტორ გოგლიძემ დაიმსახურა.

⊙ ხუთგზის მსოფლიო ჩემპიონს ნონა გაფრინდაშვილს ქალთა შორის პირველს მიენიჭა სსრ კავშირის დიდოსტატის სახელი.

⊙ სსრ კავშირის სპორტის ოსტატის ნორმა მამაკაცებისათვის, ქალ მოჭადრაკეთა შორის, ნონა გაფრინდაშვილმა შეასრულა.

საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.
ბიბლიოთეკა

ანდრე მალრო

# რომ არაფერი შეგვეშალოს

არ უნდა დავივიწყოთ, რომ უცხო ქვეყანაში ყოფნის დროს ჩვენ სტუმრები ვართ. თუ გსურთ არაფერი შეგეშალოთ, მასპინძლის გული მოიგოთ და სასაცილო არ გახდეთ, რომში რომაელის ქუდი უნდა დაიხუროთ, ჩინეთში ჩინელისა და ასე შემდეგ... ქვემოთ მომყავს იმ ქვეყნების მცხოვრებთა „უცნაურობანი“ სადაც, ჩვეულებრივ, ზაფხულის არდადეგებს ვატარებ ხოლმე.

## ● დიდი ბრიტანეთი

უნდა შეეჩვიოთ ინგლისელთა დიდ თავშეკავებულობასა და მოჩვენებით გულგრილობას. არც ერთი ბრიტანელი, თუ თქვენი თავი არ წარუდგინეს, არ დაგელაპარაკებათ. გამონაკლისი შეიძლება მოხდეს იმ შემთხვევაში თუ ერთი გემით მგზავრობთ, რომელიც ჰა, ჰა, იძირება.

ინგლისელს არ უნდა ჰკითხო როგორ ხარო — უხერხულია, ეს ინგლისელებში მიღებული არ არის. უზრუდელობაა აგრეთვე სადილის დროს სუფრაზე ხელების დაწყობა.

არა გაქვთ უფლება აგიზგიზებულ ბუხარს მიეფიცხოთ, ამ სიამოვნებას მხოლოდ შვიდი წლის ნაცნობობის შემდეგ მოიპოვებთ.

## ● გერმანია

აქ პუნქტუალობაა მთავარი, შეხვედრაზე, სადილზე დაგვიანება უდიდესი სირცხვილია, სადილის დროს ვიდრე მასპინძელი ჭიქას არ ასწევს და წარმოსთქვამს „პროზიტ“ — („გაგიმარჯოთ“) თქვენ უფლება არა გაქვთ მოსვათ ჭიქიდან ღვინო. გახსოვდეთ, დესერტის წინ თამბაქოს მოწევა უხერხულია. კარტოფილის, ისევე როგორც თევზის დანით დაჭრა მიღებული არ არის.

## ● ესპანეთი

კორიდის დროს აუცილებელია აქტიურობა, ესპანელმა არ უნდა შეგამჩნიოთ რომ მფრთხალი ხართ.

ესპანელ მამაკაცებს უყვართ სიყვარულზე, ქალებზე ლაპარაკი, მაგრამ მტკიცედ იცავენ აზრს რომ ესპანელ ქალებთან გაარშიყება არ შეიძლება, რაგინდ ზერელე იყოს ეს.

ესპანელი ქალი უმამაკაცოდ არ შევა რესტორანსა და კაფეში.

## ● საბერძნეთი

სადილზე ყოველთვის დააგვიანეთ (სულ ცოტა 15 წუთი მაინც), უნდა შეეჩვიოთ იმას, რომ საბერძნეთში თავის ძაქნევა — „დიახ“, ნიშნავს „არას“, თანხმობის ნიშნად ბერძნები თავს მარცხნიდან მარჯვნივ ატრიალებენ და პირუკუ.

დიდ სისულელეს ჩაიდენს კაცი თუ უნდა ბერძენს აჩვენოს ხუთი და ხუთ თითს გაშლის, საბერძნეთში ეს წყევლას ნიშნავს.

## ● თურქეთი

არ წამოგცდეთ რომ თურქეთი აზიაშია, თურქეთი ევროპული ქვეყანაა, კონსტანტინოპოლს სტამბოლი ჰქვია.

ლოცვის დროს, მეჩეთში, ფოტო არ გადიღოთ. კიდევ ერთი რჩევა: არას გზით არ გაღიზიანდეთ თუ დაგიგვიანეს საქმის შესრულება, თურქები ზანტები არიან.

ფრანგულიდან თარგმნა გ. ლოლაძემ

# უცხოეთის ჟურნალ-გაზეთებიდან

## შვიდი ტყუპის მამის გასაჭირი

ის დღე, ალბათ, არასოდეს დაავიწყდება მოქალაქე №-ს, როცა შვიდი ტყუპის მამა გახდა — ოთხი ვაჟი და სამი გოგონა.

ბავშვები, როგორც წყლის წვეთი, ისე გავდნენ მას, რაც სიხარულით უვსებდა გულს ბედნიერ მამას; მაგრამ საქმე იმაშია, რომ იგი მალე უნდა წარსდგეს... სასამართლოს წინაშე, რომელსაც ბრალი ედება მრავალცოლიანობაში.

## ბრიტანეთის პარფიუმერ-ნოვატორთა გადაწყვეტილება

ფრანგ პარფიუმერებს სუნამოს წარმოებაში ოდითგანვე პირველი ადგილი უჭირავთ. მაგრამ ახლა, როგორც ამას ინგლისური ყოველკვირეული გაზეთი „უიკენდი“ იუწყება, მათ მონოპოლიას საფრთხე ემუქრება. ბრიტანეთის პარფიუმერ-ნოვატორთა ჯგუფმა გადაწყვიტა დაამზადოს ახალი „გასტრონომიული“ სუნამო. მაგალითად, მამაკაცებს მოეწონებოდათ შებოლილი ორაგულის, შამფურზე აგებული ცხვრის ხორცისა და ძველი შოტლანდიური ვისკის სურნელება, ქალებს კი — ახალი ფუნთუშის, ღვეზელისა და არომატული ყავის სურნელი.

ისინი ამტკიცებენ, რომ ნაირნაირი სუნამოთი განებივრებულ საზოგადოებას მობეზრდა ყვავილოვანი ესენციები, რომელიც არავითარ ემოციას არ იწვევს, ხოლ გემრიელი, მადისაღმძვრელი საჭმელის სუნი კი დადებითად მოქმედებს ადამიანზე.

## სილვანა პამპანინი—დიქტორი

ჩვენს კინომაყურებელს უთუოდ აინტერესებს რასა იქმს დღეს ცნობილი კინოვარსკვლავი სილვანა პამპანინი. როგორც ცნობილია, იგი დიდი ხანია წავიდა კინოდან. დღეს სილვანა პამპანინი იტალიური ტელევიზიის დიქტორია, მიჰყავს გადაცემა „მაღვიძარა“. ეს გადაცემა, როგორც სახელწოდებიდან ჩანს, გათენებისას იწყება.

კორესპონდენტთან საუბარში მან განაცხადა: „მე არ ვეკუთვნი იმ განებივრებულ მსახიობ ქალთა რიცხვს, რომლებიც შუადღემდე საწოლში ნებივრობენ და იქვე მიირთმევენ ყავას. როგორც წესი, ყოველდღე ვდგები დილის ხუთ საათზე და ვემზადები გადაცემისათვის. ჩემთვის მეტად სასიამოვნოა დილამშვიდობისა ვუსურვო ყველას ტელეეკრანიდან. განსაკუთრებით მიყვარს საშობაო გადაცემები“.

სურათზე: სილვანა პამპანინი.



# გერმანული იუმორი

სახელგანთქმულ ავსტრიელ კომპოზიტორს, იოჰან შტრაუსს კონცერტებზე მუდამ თან დაჰყავდა თავისი შავი პუდელი.

ერთ დღეს მსახურს ჰკითხა:

— რა დაემართა ძაღლს, ბალანი რომ სცვივა, ავად ხომ არ არის?

— არა, — მიუგო მსახურმა, — პუდელი სრულიად ჯანმრთელია. მე ვყიდი მის ბალანს თქვენს თაყვანისმცემლებზე და ვეუბნები, რომ თქვენი თმებია.

□

ერთ-ერთ კონცერტზე ცნობილ გერმანელ პიანისტს, მაქს რეგერს, რომელმაც ფრანც შუბერტის „კალმახი“ დაუკრა, საჩუქრად კალმახით სავსე კალათა მიართვეს. რეგერმა გულითადი მადლობა გადუხადა და უთხრა, რომ მორიგ კონცერტზე „ხარის მენუეტს“ დაუკრავდა.

□

ვაიმარში ექსკურსანტები გოეთეს სახლ-მუზეუმს ათვალიერებდნენ. ერთ ქალს სიარული მოსწყინდა და იქვე სკამზე ჩამოჯდა.

—ეს გოეთეს სკამია და დაჯდომა არ შეიძლება! — გააფრთხილა სახლ-მუზეუმის თანამშრომელმა.

— მერე რა უშავს, — მიუგო მან უკმაყოფილოდ, — როცა მოვა, ავდგები.

□

ერთხელ კომპოზიტორი პუჩინი ქუჩაში მიდიოდა და შემოესმა, რომ ვიღაც მეარღნე მისი ოპერა „ბოჰემიდან“ მელოდიას უკრავდა.

კომპოზიტორი მიუახლოვდა და უთხრა:

— უფრო ჩქარ ტემპში უნდა დაუკრა.

მეორე დღეს ის მეარღნე ისევ იმ ადგილას ატრიალებდა არღანს, რომელზეც წარწერა გაეკეთებინა: „პუჩინის მოწაფე“.

□

ცნობილი გერმანელი იუმორისტი, პოეტი და მხატვარი ვილჰელმ ბუში დარბაზობას ესწრებოდა. სიტყვა ჩამოვარდა რომელიღაც ჰოლანდიელ მხატვარზე.

— ვირტუოზია, — თქვა ერთ-ერთმა სტუმარმა, — მას შეუძლია ფუნჯის ერთი მოსმით ბავშვის მოცინარი სახე მოტირალად აქციოს.

— მერე, ამაში რას ხედავთ განსაკუთრებულს? — უთხრა ბუშმა, — ამას დედაჩემი უბრალო ცოცხით ერთ წამში აკეთებდა.

□

სახელგანთქმულ ფრანგ კომპოზიტორ გუნოს არ მოსწონდა გაყოყოჩებული სტუდენტები. ერთ მშვენიერ დღეს საგანგებოდ შეკრიბა ისინი და უთხრა:

— ახალგაზრდობისას ყოყლოჩინა ვიყავი, მხოლოდ ორი კომპოზიტორი მწამდა: საკუთარი თავი და მოცარტი; მერე, როცა უფრო გავითქვი სახელი, უკვე სხვაგვარად ვამბობდი: მოცარტი და მე. ხოლო ახლა, როცა საკმაოდ ცნობილი ვარ, პატივისცემითა და მოწიწებით მხოლოდ ერთ სახელსღა ვახსენებ: მოცარტი!

□

ნიუ-იორკის ერთ-ერთ თეატრში ბერნარდ შოუს „წმინდა იონა“ უნდა დაედგათ. თეატრის დირექტორმა სთხოვა დრამატურგს, პიესა ისე შეემოკლებინა, რომ გარეუბნელ მაყურებელს მეტროს უკანასკნელი მატარებლისათვის მიესწრო. თეატრის დირექტორისადმი შოუს საპასუხო დეპეშა იუწყებოდა: „შემოკლება შეუძლებელია. შეცვალეთ მეტროს მუშაობის გრაფიკი“.

გერმანულიდან თარგმნა
შ. ამირანაშვილმა

# თითქმის დაუჯერებელი

40 წლის ინგლისელმა ჯიმ ჯილბერტმა 15 წელი ციხეში გაატარა. უსაქმობით გაბეზრებულმა პატიმარმა მხატვრობას მიჰყო ხელი, მალე საქვეყნოდ გაითქვა სახელი და ციხეში დიდი თანხა დააგროვა.

გადაწყდა, რომ ლონდონში მოეწყოს ჯიმ ჯილბერტის ნახატების გამოფენა.

* * *

ფრანგმა ფსიქოლოგებმა და სოციოლოგებმა დადგინეს, რომ პლიაჟისკენ მიმავალ დამსვენებელთა შორის ყველაზე მეტი ტრანზისტორი მიაქვთ გერმანელებს, ყველაზე მეტი გაზეთები — ინგლისელებს, სანაპიროზე სასეირნოდ ყველაზე მეტი ძაღლები კი ფრანგებს დაჰყავთ.

* * *

პროფესორი კრისტიან ბერნარდი ირწმუნება, რომ ინფარქტი უფრო ხშირად მელოტ ადამიანებს ემართებათ. ადამიანი, რომელიც მოახერხებს, რომ თავზე დიდხანს შეინარჩუნოს თმა, პროფესორის აზრით, ხანგრძლივად იცოცხლებს.

* * *

მსოფლიოში ამჟამად ცხოვრობს 468 ადამიანი, რომლებიც ირწმუნებიან, რომ ისინი ნაპოლეონ ბონაპარტეს ახლობელი ანდა შორეული ნათესავები არიან.

* * *

ამერიკის შეერთებულ შტატებში განსაკუთრებული მოწონებით სარგებლობს ფეხბურთი, რომელსაც თამაშობენ... წყალქვეშ.

ჟანგბადის სასუნთქი მოწყობილობით აღჭურვილი სპორტსმენები წყალში გამალებით დასდევენ ბურთს, უზარმაზარი აკვარიუმის სქელი მინის იქით კი გულშემატკივრები სხედან და დაინტერესებით ადევნებენ თვალყურს მატჩის მსვლელობას.

* * *

ერთმა ინგლისელმა ფსიქოლოგმა დაადგინა, რომ ქალები გაცილებით უფრო სწრაფად ლაპარაკობენ, ვიდრე კაცები.

ცდებით დადასტურდა, რომ ქალები 120 წამში საშუალოდ 200-ზე მეტ სიტყვას წარმოთქვამენ, კაცები კი მხოლოდ 150-მდე სიტყვას.

* * *

ამერიკის შეერთებულ შტატებში უკვე კარგა ხანია გამოუშვეს ახალი ხარისხის ვისკი, რომელიც მხოლოდ ქალებისათვის არის განკუთვნილი.

ამ ვისკზე მამაკაცებშიც დიდი მოთხოვნილებაა.

* * *

ნიუ-იორკში ამას წინათ 500.000 დოლარად გაყიდეს გუტენბერგის მიერ გამოცემული ბიბლია, ლონდონის აუქციონზე კი 6 მილიონ 160 დოლარად გაიყიდა XVII საუკუნის ესპანელი მხატვრის დიეგო ველასკესის ერთ-ერთი ნახატი.

* * *

იაპონიაში დაამზადეს გიგანტური რობოტი, რომელსაც მეხანძრეთ იყენებენ.

რობოტი თავისუფლად შედის ცეცხლში, არც მაღალი ტემპერატურა აშინებს, არც სულის შემხუთველი კვამლი და არც იატაკისა და ჭერის დანგრევის საშიშროება.

მეხანძრე-რობოტს შორიდან მართავენ სპეციალური მოწყობილობის მეოხებით.

* * *

კალიფორნის (აშშ) უნივერსიტეტის ასპირანტმა პრესტონ პ-მ გაზეთში გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც იუწყება, რომ განზრახული აქვს ცოლად მოიყვანოს მხოლოდ სტიუარდესა.

ეს პროფესია ასპირანტმა იმიტომ შეარჩია, რომ მეცნიერული კვლევისათვის მას ხშირად უხდება სხვადასხვა ადგილებში თვითმფრინავით მოგზაურობა; საავიაციო კომპანიების თანამშრომლებს და მათ მეუღლეებს კი ძვირად ღირებული ბილეთები შეღავათიან ფასებში ეძლევათ.



— თბილისოო, მზის და ვარდების მხარეო!...

ნახატი გიგლა ფირცხალავასი.



უსიტყვოდ. ნახატი კახი პატიაშვილისა.



— თუ დროზე არ დაგვთესეს, გაისად მეტი ფასი დაგვედება.

ნახატი გიგლა ფირცხალავასი.

# სუფთა რომ იყოს ჰაერი

საყოველთაოდ ცნობილია, რომ სამეცნიერო-ტექნიკურმა პროგრესმა არნახული სწრაფი ტემპით დაიწყო ადამიანის გარემომცველი ბუნების შეცვლა, მთელი რიგი მდინარეების, ზღვებისა და ატმოსფეროს ჰაერის მრავალმხრივი დაბინძურება.

ბუნების დაცვისა და გარემოს გაჯანსაღების პრობლემებს განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა მიენიჭა უკანასკნელ წლებში. ეს გარემოება იმან განაპირობა, რომ მთელს მსოფლიოში კატასტროფიული მასშტაბით გაიზარდა სამრეწველო ობიექტებისა და უამრავი ავტომანქანების მიერ გამონაბოლქვი მავნე აირებისა და სხვადასხვა მომწამვლელი ნივთიერებების რაოდენობა.

გარემოს დაბინძურების კოეფიციენტმა ისეთ მაღალ მაჩვენებელს მიაღწია, რომ მრავალმა ცნობილმა სპეციალისტმა ღრმა შეშფოთება გამოთქვა მსოფლიო ეკოლოგიური კატასტროფის მოახლოვების შესახებ. მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ თუ დროზე არ მივიღებთ სათანადო ზომებს, ბიოსფეროს მომძლავრებულმა დაბინძურებამ შეიძლება გამოუვალ საფრთხეში ჩააყენოს მთელი კაცობრიობა.

მთელმა რიგმა საგანგებო ცდებმა და დაკვირვებებმა ამომწურავად ნათელყო, რომ გამონაბოლქვი გაზების ზრდა მნიშვნელოვნად აზიანებს მცენარეთა საფარველს, უარყოფით გავლენას ახდენს ცხოველთა ნორმალურ განვითარებაზე.

სპეციალისტებმა დაადგინეს, რომ ჰაერში ნახშირჟანგა გაზის, აზოტის ორჟანგის, ფორმალდეჰიდის, ოქსიდანტების გავრცელება გარკვეულ ცვლილებებს იწვევს ადამიანის ორგანიზმში. სწორედ ამის შედეგია, რომ მსოფლიოს მრავალ სამრეწველო ქალაქში აღნიშნულია შობადობის შემცირება.

საქართველოში წყალსატევებისა და ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების ძირითად წყაროს სამრეწველო ობიექტები და საავტომობილო ტრანსპორტი წარმოადგენს.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სანიტარიისა და ჰიგიენის ინსტიტუტის მეცნიერმა თანამშრომლებმა საინტერესო დაკვირვება ჩაატარეს. მათ მიზნად დაისახეს შეესწავლათ ავტოტრანსპორტის მიერ გამონაბოლქვი აირებით ატმოსფერული ჰაერის გაბინძურების ხარისხი თბილისსა და ბათუმში.

ქართველმა სპეციალისტებმა, ავტოტრანსპორტის მოძრაობის ინტენსივობის მიხედვით, დაკვირვების ობიექტად შეარჩიეს ორივე ქალაქის მთავარი მაგისტრალები.

თბილისში შერჩეულ მაგისტრალზე ყოველ ერთ საათში საშუალოდ გაიარა 2.255 ავტომანქანამ, ბათუმში შერჩეულ მაგისტრალზე კი — 728 ავტომანქანამ. როგორც ვხედავთ, ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის მთავარ მაგისტრალებზე უამრავი მანქანები დაქრიან. მათი რიცხვი კიდევ უფრო მეტად გაიზრდება მეათე ხუთწლედში, როდესაც ჩვენი სამამულო მრეწველობა მნიშვნელოვნად გაადიდებს ავტომანქანების გამოშვებას.

აღნიშნულმა დაკვირვებამ ნათელყო, რომ ნახშირჟანგის კონცენტრაცია ორივე ქალაქის შერჩეულ მაგისტრალებზე მნიშვნელოვნად აღემატებოდა მზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციას. მობინადრეებმა გამოკითხვის დროს აღნიშნეს, რომ ისინი ხშირად გრძნობენ არასასიამოვნო სუნს.

ეს გარემოება არა მარტო ავტომანქანების სიმრავლით არის გამოწვეული, არამედ ზოგიერთი მძღოლის უდისციპლინობითა და დაუდევრობითაც.

განა ცოტაა შემთხვევა, როდესაც მძღოლები გაუმართავი მანქანით გამოდიან ქუჩაში? ალბათ, ბევრი ჩვენგანი გამხდარა მოწმე ასეთი შემთხვევისა: მძღოლი ცდილობს აამოძრაოს სანახევროდ მოშლილი მოტორი, წვალობს, წარა-მარა რთავს მოტორს, მანქანის უკანა მხრიდან კი უამრავი კვამლი იფრქვევა. გამონაბოლქვი მავნე გაზი ტოქსიურ ნივთიერებებს და არასასიამოვნო სუნს ავრცელებს ირგვლივ.

გარემოზე ჰიგიენური ზემოქმედების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა ტოქსიური ნივთიერებების ნორმირების საკითხი. ჩვენს ქვეყანაში მეცნიერულად დადგენილი და ოფიციალურად დამტკიცებულია საკავშირო ნორმატივი, რომელიც ითვალისწინებს ატმოსფეროს ჰაერში, წყალსატევებში, საკვებ პროდუქტებში ტოქსიური ნივთიერებების ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციებს.

მთელი რიგი დადგენილებები ითვალისწინებს ატმოსფეროს ჰაერის, წყალსატევების გაბინძურების თავიდან აცილების ეფექტურ და გადაუდებელ ღონისძიებათა მაქსიმალურ გატარებას.

კომუნალურ და სამრეწველო ობიექტებზე ეწყობა გამწმენდი ნაგებობები, ტარდება ღონისძიებები ატმოსფერული ჰაერის გაბინძურებათა შემცირებისათვის, ქარხნების ირგვლივ სანიტარულ-დაცვითი ზონების მოწყობისათვის.

მაგალითად, რესპუბლიკის ისეთ მსხვილ საწარმოებში, როგორიცაა ქიმიური და მეტალურგიული კომბინატები, ნავთობგადამამუშავებელი, საავტომობილო, საავიაციო ქარხნები და სხვა ობიექტები, მოწყობილია რამდენიმე ათეული გამწმენდი ნაგებობა, ფართოვდება დაბინძურებისადმი ბრძოლის სანიტარული დაცვითი ზონები. როგორც ცნობილია, უახლოეს ხანში ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში დამონტაჟდება სპეციალური მოწყობილობანი, რომლებიც მავნე ამონაბოლქვი გაზებისაგან დაიცავენ ატმოსფეროს ჰაერს.

ჩვენი სოციალისტური სახელმწიფო უამრავ სახსრებს ხარჯავს ბუნების დაცვისა და გარემოს გაჯანსაღების პირობების შესაქმნელად.

ამ დიდ, საზოგადოებრივი მნიშვნელობის საქმეში თითოეულმა ადამიანმა უნდა შეიტანოს თავისი წვლილი. მსხვილ საწარმოთა ხელმძღვანელებმა, ყველამ, ვისაც ეს ევალება, აქტიური ბრძოლა უნდა გააჩაღონ სანიმუშო სისუფთავის დასაცავად. ჯანსაღი ჰაერის, ბუნების მშვენების — ფაუნისა და ფლორის დაცვა, ადამიანის სიკეთეზე ზრუნვა, ჩვენი სამშობლოს, ჩვენი შვილებისა და შვილთაშვილების ნათელ მომავალზე ზრუნვაა.

ოთარ ქავთარაძე

---

**რედაქციისაგან:** პარტია და მთავრობა უდიდეს ყურადღებას აქცევს გარემოს დაცვას. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობაზე აღინიშნა, რომ მეათე ხუთწლედში ამ მიზნით გამოიყოფა 11 მილიარდი მანეთი. ეს თანხა თანდათან უფრო მეტად გაიზრდება.

ქალაქებისა და სამრეწველო ცენტრების ზრდასთან ერთად, სამწუხაროდ, გარემოს დაბინძურებას ხშირად ჩვენი უყურადღებობაც უწყობს ხელს. აქვე ვაქვეყნებთ რამდენიმე ფოტოსურათს, რომლებშიც ნათლად არის აღბეჭდილი ეს უყურადღებობა.

გარეკანის პირველ და მეოთხე გვერდზე: სსრ კავშირის სახალხო მხატვრის უჩა ჯაფარიძის სურათი — კედლის მხატვრობა „შრომის ზეიმი“.

გადაეცა ასაწყობად 9/III-76 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 2/IV-76 წ., ქაღალდის ზომა 70×108 1/8, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 2,5, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 3,5, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 4,9, ტირაჟი 51.900, შეკვ. № 239, უე 00709. ფასი 30 კაპ.

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал «Дроша» (на грузинском языке) Издательство ЦК КП Грузии

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14

რედაქციის მისამართი:

380008, თბილისი 8, რუსთაველის პრ. 42.
ტელ. — მთ. რედაქტორის — 99-54-66,
პ/მგ. მდივნის — 99-82-69, განყოფილებების — 93-28-42, 99-01-39.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.





ეროვნული ბიბლიოთეკა

- სამრეწველო ნარჩენებით მოწამლული თევზები.
- ასე ბინძურდება მტკვარი.
- ლაბორატორიის მუშაკები იღებენ ჰაე-რის სინჯს.
- ასე კვდება ხე.
- ავტობუსი გაუმართავი მოტორით.

ვიქტორ ჯეირანელის ფოტო.









ИНДЕКС 76056

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# დროშა